

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 22 დეკემბერი, 2004 წელი. №303 (852)

ფასი 50 თეთრი

### საზოგადოება

ზღაპარი ზღაპრის გარეშე დარჩენილთათვის



პატარებს, რომელთათვის ცხოვრება ზღაპრად ვერ იქცა, მედიკამენტების გარდა, ადამიანური ურთიერთობებიც სჭირდებათ.

A6

### სამართალი

საკონსტიტუციო სასამართლოს რეკონსტიტუციური გადაწყვეტილება ძალაში შევიდა

A7

საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს სტაჟიორთა მიღების კონკურსს

საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში (გარდა საქართველოს გენერალური პროკურატურისა) სტაჟიორთა მიღების კონკურსს. გათვალისწინებულია პირობებს და ტესტირებისა და ზეპირი გამოცდის პროგრამას.

A4-5

იურიდიული იური „გაპი“ და გაზეთი „24 საათი“

ანონსირებაზე პროექტის, რომლის მიზანსაც ნარკოტრაფიკის მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთი „24 საათის“ ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო „მხანავე ტალღის“ ეთერში, FM 107.4

## ობზუდსმენები მიდიან

საქართველოში ადამიანთა უფლებების დაცვა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. გუშინ თანამდებობა დატოვა სამხედრო ომბუდსმენმა ირაკლი სესიაშვილმა, რადგან მას არ მისცეს საშუალება, ქართულ ჯარში ადამიანის უფლებები დაეცვა. რამდენიმე კვირის წინ თანამდებობიდან უხმაუროდ გადადგა მართლმსაჯულების ომბუდსმენი ვახტანგ კომახიძე.

ენიმე გომარათული

„სახელმწიფოს სახეებით გაუგებარი რეაქცია ჰქონდა

იმზე, რაც მუხროვანის სამხედრო ნაწილში მოხდა. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებას მნიშვნელოვანი დონის ძიებები გაეტარებინა,

ჩაეტარებინათ გამოძიება დარღვეული დამნაშავეები და ესაჯათ, ჯოხი ყველაზე სუსტზე – ჯარისკაცებზე გადატყდა. ჩემი ადგილი ამ თანამდებობაზე არ არის. მე ადამიანის უფლებებს ვერ ვიტყავ, – ამას აცხადებს სამხედრო ომბუდსმენის თანამდებობიდან პროტესტის ნიშნად გადადგარი ირაკლი სესიაშვილი, რომელიც გუშინ შინა-

განი ჯარის პირველი ოპერატიული ბრიგადის ტერიტორიაზე ჯარისკაცებთან შესახებ ვედრად არ შეუშვეს (მუხროვანის ბრიგადის სამოცდაათამდე ჯარისკაცი სოციალური პირობების გაუმჯობესებას და სამხედრო სამსახურის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გაგვლას ითხოვდა).

ბაზრძევა A3 ბავრძევა

## სტალინის და სააკაშვილის დაბადების დღე გორში

მიხეილ ქარელმა იცის, რომ „სტალინი დიდა, სააკაშვილი კი - საქართველოს პრეზიდენტი“

ვასილ ბაღაური

21 დეკემბერი საქართველოში ბევრისთვის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეა, თუმცა არიან ადამიანები, ვისაც ეს არ ახსოვს, მაგრამ 21 დეკემბერს, 125 წლის წინ, ქართლის პატარა ქალაქ გორში სოსო ჯუღაშვილის დაბადებას ზეიმობს.

სტალინის თაყვანისმცემლები ამ დღეს ყოველთვის აღნიშნავენ. ყველაზე ერთგულები გორში მის სახლ-მუზეუმთან იკრიბებიან. ახლაც, მიუხედავად თოვლისა და სიცივისა, არა მარტო გორიდან, არამედ სხვა ქალაქებიდანაც შეიკრიბნენ ბელადის ობილეს აღსანიშნავად. ბევრი მათგანი სტალინისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსების ხმამაღალი კითხვით გამოხატავდა ბელადის სიყვარულს, ზოგს მწირო პენსიიდან ყვავილების საყიდვლი ფულიც გამოეწეა, ზოგი საბჭოთა კავშირის გახუნებულ დროშებს აფრიალებდა და გულს ამ ხელისუფლების ღანძღვით იოხებდა.

ეს დღე არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დატოვეს უყურადღებოდ. მხარის გუბერნატორი მიხეილ ქარელი, თანმხლებ პირებთან ერთად, სახლ-მუზეუმს ეწვია. სახლ-მუზეუმის დირექტორმა ლეილა აბუაშვილმა თავად გაუწია გილობა სტუმრებს. მათ ათიოდე წუთში „შემოირბინეს“ მუზეუმი.

ბაზრძევა A2 ბავრძევა



ვასილ ბაღაური ფოტო

### დეპუტატი კანონპროექტს „მუსრს ავღანეთი“

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტმა საკანონმდებლო „დავლიანების დავარვა“ დაიწყო: გუშინ, რიგგარეშე სესიის პირველივე დღეს, სხვადასხვა მოსმენით მიღებული იქნა ათზე მეტი კანონპროექტი (მათ შორის, „უმალესი განათლების შესახებ“, - 134 მომხრე, 16 - წინააღმდეგი). გარდა ამისა, დეპუტატებმა განიხილეს ოცამდე საკანონმდებლო აქტის პროექტი, რომლებსაც დღეს ეყრება კენჭი. მათგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ახალი საგადასახადო კოდექსი და კანონპროექტი „მაუწყებლობის შესახებ“. გამორიცხული არ არის, „ფინანსურ ამინსტიტთან“ დაკავშირებით მთავრობასა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის არსებული უთანხმოებაც დაიძლიოს და ამ დოკუმენტს პირველი მოსმენით მწვანე შუქი აენთოს.

ბაზრძევა A3 ბავრძევა

### ქრემლის ბავშვილი

რუსუდან ნიკურაძე  
ს.ა. კოჩ. მოსკოვი

21 დეკემბერს რუსეთის პარლამენტის წინ უჩვეულო აქცია მოეწყო – მამლებითა და სააკაშვილ-როგოზინის უზარმაზარი პორტრეტებით.

„ედინაია როსიას“ ახალგაზრდული ორგანიზაციის 50-მდე აქტივისტმა პოლიტიკური პოპულიზმის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართა. პუტინის ახალგაზრდული დესანტის, ორგანიზაცია „ერთად მავალთა“ ორგანიზაციის კრემლის კედელთან შეიკრიბა, საიდანაც სტალინის დაბადების დღის აღსანიშნავად, რუსი კომუნისტები, გენადი ზიუგანოვის მეთაურობით, დიდი ბელადის საფლავისკენ მიემართებოდნენ. ახალგაზრდა პუტინელებმა კი, რუსეთის სახელმწიფო სიმბოლიკისა და საპრეზიდენტო დროშებით, ასევე, ბლოკ „ერთობის“ სიმბოლო – „დათვის“ გამოსახულებიანი ტრანსპარანტებით, პარლამენტისკენ აიღეს გეზი. აქვე აღმართეს აქციის მთავარი სიურპრიზი: ორი უზარმაზარი პლაკატი. ერთზე მიხეილ სააკაშვილი იყო გამოსახული წარწერით - „მიხეილ სააკაშვილი დაიბადა 21 დეკემბერს და ამით ამაყობს“. ზუსტად იგივე ზომის მეორე ტრანსპარანტზე

ბაზრძევა A2 ბავრძევა

ადგილი	22/12	23/12
თბილისი	11 ☁	9 ☁
ქუთაისი	13 ☁	13 ☁
ბათუმი	15 ☁	14 ☁
სოხუმი	9 ☁	9 ☁
ფოთი	14 ☁	13 ☁
თელავი	10 ☁	8 ☁
ზუგდიდი	13 ☁	13 ☁
გორი	8 ☁	7 ☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიხედვით

აშშ დოლარი	1.7910
ევრო	2.3921
გირვანქა სტერლ.	3.4638
რუბლი	0.0642

ინყება ხელმოწერის კამპანია გაზეთი „24 საათზე“

იკითხეთ „24 საათი“ და თქვენ გაქნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი: ვაჟა ფშაველას №45 ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

- 1 თვით 13 ლარი;
- 3 თვით 39 ლარი;
- 6 თვით 78 ლარი;
- ერთი წლით 156 ლარი.

**ყურადღება!**

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმოწერილი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

- 6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70,20 ლარი;
- ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124,80 ლარი.

### კრამლის გზავნილი

პირდაპირი გზავნილი

დემიტრი როგოზინის პორტრეტს შემდეგი წარწერა ამშვენებდა: "დემიტრი როგოზინი დაიბადა მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეს და ამით არანაკლებად ამაყობს". "დათვი მამლის მეგობარი არ არის", "ნუ მამლაყინობ, მიშა!" - ასეთი შინაარსის მომცროსი პლაკატებიც ეჭირათ ახალგაზრდა პუტინელებს. კიდევ ერთი სიურპრიზი - "ახალგაზრდული ერთობის" ლიდერებმა პალატობიდან ამოაძვრინეს: ორი წითელბანტიანი მამლაყინა, რომლებსაც ტელეკამერების წინ მიმართავენ სახელებით - მიშა და დიშა.

ამ დროს როგოზინი რამდენიმე საათობრივად, თავის კაბინეტში იღებდა მილოცვებს. როცა როგოზინის მისაღებად ასულმა ჟურნალისტებმა ფრაქციის ლიდერს ამ აქციის კომენტარი სთხოვეს, მან გაიღიმა, აქციის ნახევრადხულიგნური უნოდა და დასძინა - რადგან მოვიდნენ, ესე იგი ვახსოვართო. მიხეილ სააკაშვილისათვის მილოცვის გადაცემის დროს როგოზინმა აღნიშნა, ყველაზე კეთილი სურვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალურება იქნებოდა. აქცია კი პარლამენტდან საქართველოს საელჩოსკენ დიმიტრი გზად მათ ბოლშევიკი დემიტრი გზაკაზე მდებარე ბლოკ "როდინას" შტაბ-ბინასთან "შეისვენეს". საელჩოსთან მისვლისთანავე კი იგივე პლაკატები გაშალეს.

მამლებს ამჟამად ცოცხალი ვარდების უზარმაზარი თაიგულიც დაემატა, რომელიც აქტივისტებმა საქართველოს საელჩოს კართან მიაყუდეს. "ჩვენ მოვედით, რათა მიხეილ სააკაშვილს დაბადების დღე მივლოცოთ, ეს საჩუქრები გადავცეთ და ვთხოვთ, ნუ მამლაყინობს," - განაცხადა "ახალგაზრდული ერთობის" ერთ-ერთმა ლიდერმა პაველ პოხოლომომ. საელჩოდან მხოლოდ დაცვამ გამოყო თავი და ეს თაიგული აქედან მოამოკრათ, დაიძახა. საელჩოს დაცვამ უმალ მილიციაში დაიწყო რეკვა. მათი აზრით, ყველაზე უფრო შეიძლება ასეთი ტყუილი ამ დროს მოხდეს.

ამის შემდეგ აქცია ორგანიზებულიად დაიშალა. აქტივისტებმა ძვირფასი თაიგული უკან წაიღეს და სინანული გამოთქვეს, რომ მათი საჩუქრები იუბილარებმა არ მიიღეს. რაც შეეხება მეზობელი სახელმწიფოს პრეზიდენტის მისამართით გაუღებულ არაკორექტულ შეხახილებს, როგორც მოსკოვში ქართველი დიპლომატები ამბობენ, ეს ფაქტი ყურადღების მიქცევის ღირსი არ არის. თუმცა, პროფესიულ პლაკატებს თუ არ მივაქცევთ ყურადღებას, ის მაინც არ უნდა დაგავიწყდეს, თუ ვინ დგას რეალურად მოსკოვის ცენტრში 21 დეკემბერს ჩატარებული კარგად ორგანიზებული აქციების უკან.

## სტალინის და სააკაშვილის დაბადების დღე გორში

პირდაპირი გზავნილი

"ბოლო ათი წლის განმავლობაში დამთავლიერებულა რიცხვმა რადიკალურად იკლო. წარსულში მათ მთელი დღის განმავლობაში ევსახურებოდით. მე იმედი მაქვს, რომ გორი ისევ აივსება უცხოელი ტურისტებით და დამთავლიერებელი მოიმატებს," - აღნიშნა ლეილა აბუაშვილმა. დღეს სტალინის სახლ-მუზეუმი საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და სწორედ სამინისტრო აფინანსებს, მაგრამ, როგორც მიხეილ ქარელმა დირექტორთან საუბარში აღნიშნა, სახლ-მუზეუმი აუცილებლად ქალაქს უნდა გადაეცეს.

"მე დიდ პატივს ვცემ დიდ სტალინს, მისი დამახსოვრების მიხედვით, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის საქეში," - აღნიშნა მიხეილ ქარელმა. ჟურნალისტების კითხვაზე, საქართველოს პრეზიდენტს თუ მიულოცა დაბადების დღე და რაიმე კავშირს ხომ არ ხედავს ამ ორ პიროვნებას შორის, ქარელმა განაცხადა: "მე ის ვიცი, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტია, რომელიც საქართველოს გაამთლიანებს. საქართველოს პრეზიდენტი კი ვალდებულია შეხვედეს და დაუბრუნოს სტალინისადმი პატივისცემისა, გუბერნატორი არ მივიდა სახლ-მუზეუმის წინ შეკრებილ მოსახლეობასთან, რომელთა უმრავლესობას პენსიონერები შეადგენდნენ. მათთან საქართველოს კომპარტიის ლიდერი პანტელეიმონ გორგაძე მიბრძანდა.

"დღეს არის დაბადების დღე ნამდვილი მართლმადიდებლისა, რომელმაც განათლება აქ მიიღო, მასილიური სემინარიამო. დიდი განსხვავება ქრისტესა და სტალინს შორის - ქრისტეს ცოცხლად ვაკრვს ჯვარს, სტალინი - გარდაცვალა."



ნოსტალგია გორულად.

ვალდების შემდეგ, - ასეთი მოულოდნელი შედარება გააკეთა კომპარტიის ლიდერმა, - ამ დღეს აქ უფრო მეტი ადამიანი იქნებოდა, მაგრამ შიმშილია, სიცოცხლე... 15 წელიწადია საქართველოში სკოლები არ იშლება, არაა სინათლე, პური... ხალხს ემინია, რადგან ნამდვილ კომუნისტებს თვალს ადევნებენ." საქართველოს პრეზიდენტის დედაბავს დიდ პანტელეიმონ გორგაძეს გაახსენეს. "მე რომ შემხვებდი მიმიკო, მივულოცავ დაბადების დღეს, როგორც შვილიშვილს. მაგრამ დღეს მისი სახელის აქ ხსენება დიდი სირცხვილია. შარშანაც ვახსენეთ და მიუღუოცეთ, მაგრამ მას არ მოეწონა. რაც

მთავარია, სტალინსაც ეწყინება!" მიუხედავად კომპარტიის გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ალექსი ლურსმანაშვილის თხოვნისა, ჯერ სახლ-მუზეუმთან გაემართათ შტურტი, პანტელეიმონ გორგაძე შეკრებილებს სტალინის ძეგლისკენ გაუძღვა, რამაც ლურსმანაშვილის უკმაყოფილება გამოიწვია. როცა კომუნისტები და სტალინის თავყვანილები სტალინის ძეგლს ყველაღმით ამკობდნენ, გორის სახლმუზეო აკადემიურ თეატრში გორელები სტალინის 125-წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტს ესწრებოდნენ, სადაც ისინი სამხარეო და რაიონის ხელისუფლებამ მიიწვია.

**მოკლად**  
სოხუმი თბილისთან აფხაზეთის სტატუსის განხილვას არ აპირებს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ვიცე-პრემიერის სერგეი შამას განცხადებით, მას აფხაზეთში არც ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არ ეგულდება, რომელიც ქართულ არასამთავრობოებთან აფხაზეთის სტატუსის საკითხზე მსჯელობასა და დიპლომატიის წარმართვას გეგმავდა. მისივე თქმით, აფხაზეთის ხელიშეუხებლობის სკეპტიკურად აღიქვას არასამთავრობოებსადაც საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის 17 დეკემბრის მონაღება, აფხაზეთის სტატუსზე მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების დაწყების თაობაზე. შამასი შეფასებით, პრეზიდენტ სააკაშვილის მონაღება არარეალურია. "აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით მოსკოვში არც ერთი არ შეცვლილა და არც მომავალში შეიცვლება. აფხაზეთის სტატუსი განსაზღვრულია და აფხაზური მხარე ამ საკითხზე მსჯელობას არავისთან, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლებასთანაც არ აპირებს," - აღნიშნა შამასმა. ინტერ-პრესი

**ორი სიტყვით**  
თბილისი. დღეს და ხვალ თბილისში, სასტუმრო "კორითარდ მარიოტში" ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონსოლიდო კომისიის მორიგი სხდომა გაიმართება. შპკ-ს თანათავმჯდომარე კონფლიქტის ზონის დემოლიტარზაციის შესახებ 5 ნოემბერს ზურაბ ჟვინიას და ედუარდ კოკოთას შორის ფეხში მიღწეული შეთანხმების შესრულებაზე იმსჯელებენ. ინტერ-პრესი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა და საპარლამენტო რეფორმის საკითხები განიხილა. როგორც შეხვედრის შემდეგ ბურჯანაძემ განაცხადა, უცხოელ სტუმრებთან პარლამენტის როლის გაძლიერების, საპარლამენტო რეფორმის საკითხები განიხილეს. მხარეებმა იმ პროცესებზე იმსჯელეს, რომლებიც საერთაშორისო დონორ ორგანიზაციების მხარდაჭერით საქართველოს პარლამენტში ვითარდება. ინტერ-პრესი

### "უსინათლოთა" ბანტი იხარეთში

გუშინ შეიქმნა ადგილობრივი საბორცესტო აქცია მოაწყო და ელემენტარული სოციალური პირობების შექმნა მოითხოვა. აქციის მონაწილეები თავდაპირველად მაკოორტარ ნინო ბურჯანაძის ოფისთან მივიდნენ, შემდეგ კი გეზი იცვალეს და ქუთაისის მერიას მიადგინეს. "13 წელი სიბნელეში"; "მოგვეცი თქვენი ეტარული პირობები"; "ქუთაისიც საქართველოა" - ასეთი იყო აქციის მონაწილეთა ლოზუნგები. მოსახლეობის უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი უშუალოდ ვახლავთ, რაც ქალაქის უმეტეს ნაწილში უკვე კვირების მანძილზე გრძელდება, დანარჩენ უბნებში კი ნათურა დღე-ღამეში ორი-სამი საათით თუ განათდება. აღნიშნული პრობლემით გაღიზიანებულია ხალხმა, შესახილებით ქუთაისის მერიის შენობაში შეჭრა სცადა. მათ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში რამდენიმე ადგილზე გზაც გადაკეტილი ჰქონდათ. საბორცესტო აქციებს ქუთაისში ორგანიზებული სახე ეძლევა.

გაჭირვებულს ქვა აღმართში მოეზიარა - დაახლოებით ასე გაიფიქრებდა დღეს ქუთაისის მთავრობა. ჯერ კიდევ განამდებობების გადახანჩილებითა და ინტერგებით დაკავებულმა ქუთაისის მერიის მალაქინოსნებმა, ზამთრის დადგომა, როგორც ჩანს, მერიის წინ მისულ მომიტინგეთაგან შეიტყვეს. ქუთაისის თვითმართველობაში აცხადებენ, რომ უშუალოდ უზრუნველყოფა ენერგოკომპანიის კომპეტენციას, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებას არ ემორჩილება. ამასვე პასუხობდნენ გუშინ მერიის წინ მოსულ მოსახლეობას რწმუნებულის მოადგილეები, თუმცა ხალხის დარწმუნება უჭირდათ, რადგანაც ერთი წლის მანძილზე ქალაქის მთავრობას ისეთი საკითხებიც არა აქვს მოწესრიგებული, რაც უშუალოდ მათი კომპეტენციაა გახლდათ. ასეთი მაგალითები კი ბევრია: გზების შეკეთება, გარე ვაჭრობის მოწესრიგება და ასე შემდეგ. "ჩვენ მოვიხიზეთ ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს... ერთი წუთით არ მოდის შუქი, არა გვაქვს წყალი, ქუჩის საავალი ნაწილი კი გადახორცილი და გაოხრებულია. ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. ქუთაისის ხელისუფლება საერთოდ უუნარო აღმოჩნდა," - განაცხადა აქციის მონაწილე რუსულენოვანი ჟურნალისტი.

მომიტინგეები პრემიერ-მინისტრის მიერ დაპირებული 18-საათიანი გრაფიკის შესრულებას ნინო ბურჯანაძეს სთხოვდნენ. მერიის წინ კი, გზა გადადების ძახილით გადაკეტეს, თუმცა ვერ აკონკრეტებდნენ, ვის გადადგომას ითხოვდნენ. "13 წელია, შუქი არ გქონიათ და დღეს გაგახსენდათ?" - მიმართა ხალხს მათთან შესახვედრად მისულმა რწმუნებულის მოადგილემ გია თევდორაძემ. აქციის მონაწილეები კი მერთან ან რწმუნებულთან შეხვედრას მოითხოვდნენ. გია გენაძე ვანში გახლდათ ნასული, ხოლო ქუთაისის მერიის მოვალეობის შესრულებული გია გიორგაძე კი თათბირს ატარებდა.

"გლათის ქუჩაზე ვცხოვრობ, თვენახევარია, შუქი არ მოსულა. გადახდილი ვაჭვს 30 ლარი, შემდეგ 10-15 ლარი. აღნიშნული თანხით მრცხველი გარეთ უნდა გამოეტანათ, რაც არ მომხდარა და არც შუქი მოუციათ. ჩვენ დღეს ისევე ვცხოვრობ, როგორც გუბერნატორს და შერს," - განაცხადა აქციის

### შპს "საქართველონავიგაცია"

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:

საპირაო მოძრაობის მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტები

- მოგვმართონ 25-40 წლის პირებმა რომლებიც:**
- ფლობენ UNIX ოპერაციული სისტემის საფუძვლებს მომხმარებლის დონეზე;
  - ფლობენ კომპიუტერული პროგრამირების საფუძვლებს;
  - აქვთ უმაღლესი განათლება;
  - თავისუფლად ფლობენ ქართულ და ინგლისურ ენებს;
  - სასურველია სამუშაო გამოცდილება.
- შერჩეული კანდიდატები გაივლიან მომზადებას, რომლის მიზანია სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის კონფიგურირების და გამგების შესწავლა, რათა აუცილებლობის შემთხვევაში შეძლოს შეცვალოს ოპერაციული სისტემის პარამეტრები. ასევე შეისწავლიან სისტემის უზრუნველყოფის ყველა საშუალებებს.**

საპირაო მოძრაობის მართვის სისტემის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტები

- მოგვმართონ 25-40 წლის პირებმა რომლებიც:**
- ფლობენ UNIX ოპერაციული სისტემის საფუძვლებს მომხმარებლის დონეზე;
  - ფლობენ კომპიუტერული პროგრამირების საფუძვლებს;
  - აქვთ უმაღლესი განათლება;
  - თავისუფლად ფლობენ ქართულ და ინგლისურ ენებს;
  - სასურველია სამუშაო გამოცდილება.
- შერჩეული კანდიდატები გაივლიან მომზადებას, რომლის მიზანია სისტემის მდგომარეობის შეფასების (ანალიზი) და დაზიანებების აღმოფხვრის ხერხების შესწავლა.**

ხომავანი შეტყობინებავის გადაცემის სისტემის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტები (საპირაო)

- მოგვმართონ 25-40 წლის პირებმა რომლებიც:**
- ფლობენ კავშირგაბმულობის (კომუნიკაციების) სისტემის საფუძვლებს;
  - პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა მომხმარებლის დონეზე;
  - აქვთ უმაღლესი განათლება;
  - თავისუფლად ფლობენ ქართულ და ინგლისურ ენებს;
  - სასურველია სამუშაო გამოცდილება.
- შერჩეული კანდიდატები გაივლიან მომზადებას, რომლის მიზანია სისტემის მდგომარეობის შეფასების (ანალიზი) და დაზიანებების აღმოფხვრის ხერხების შესწავლა.**

(VHF) რადიოკავშირის ძველისტემის ტექნიკური მომსახურების სპეციალისტები

- მოგვმართონ 25-40 წლის პირებმა რომლებიც:**
- ფლობენ რადიოკავშირის სისტემის საფუძვლებს;
  - პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა მომხმარებლის დონეზე;
  - აქვთ უმაღლესი განათლება;
  - თავისუფლად ფლობენ ქართულ და ინგლისურ ენებს;
  - სასურველია სამუშაო გამოცდილება.
- შერჩეული კანდიდატები გაივლიან მომზადებას, რომლის მიზანია სისტემის მდგომარეობის შეფასების (ანალიზი) და დაზიანებების აღმოფხვრის ხერხების შესწავლა.**

დანიტრესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ შემოთავაზებულ პირობებს, 2005 წლის 31 იანვრამდე უნდა წარმოადგინონ წერილი (აღწერა თუ რატომ გასურთ ვაკანსიის დაკავება), ბიოგრაფიული მონაცემები (CV), ასევე სასურველია, სარეკომენდაციო წერილი (იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება არც გაქვთ) და 1 ფოტოსურათი მისამართზე: თბილისი, აეროპორტის დასახლება №8. ან გამოავაჭვანო ელექტრონული ფოსტით მისამართზე: [office@airnav.com](mailto:office@airnav.com).  
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: +995 32 947739, + 995 32 947373

### ООО САКАЭРОНАВИГАЦИЯ

объявляет конкурс на следующие вакансии:

Специалисты программного обеспечения систем УВД.

- Обращаться лицам в возрасте 25-40 лет, которые должны:**
- иметь базовые знания программ операционных систем, подобных Unix на уровне пользователя;
  - иметь базовые знания по компьютерному программированию;
  - иметь высшее образование;
  - свободно владеть грузинским и английским языками;
  - желательно иметь опыт работы.
- Они проходят подготовку, имеющую своей целью получение знаний по конфигурации и наладке программного обеспечения, чтобы менять операционные параметры системы, а также получают подготовку по всем программным средствам, обеспечивающим систему.**

Специалисты технического обслуживания систем УВД

- Обращаться лицам в возрасте 25-40 лет, которые должны иметь:**
- базовые знания программ операционных систем, подобных Unix (на уровне пользователя)
  - базовые знания по компьютерному программированию.
  - иметь высшее образование;
  - свободно владеть грузинским и английским языками;
  - желательно иметь опыт работы.
- Они проходят подготовку, имеющую своей целью получение знаний, обходимых, чтобы уметь анализировать состояние системы и знать способы исправления неисправностей.**

Специалисты технического обслуживания для системы передачи речевых сообщений (телефонной связи)

- Обращаться лицам в возрасте 25-40 лет, которые должны иметь:**
- базовые знания системы связи.
  - знания компьютера на уровне пользователя
  - иметь высшее образование;
  - свободно владеть грузинским и английским языками;
  - желательно иметь опыт работы.
- Они проходят подготовку, имеющую своей целью получение знаний, необходимых, чтобы уметь анализировать состояние системы и знать любые способы устранения неисправностей.**

Специалисты технического обслуживания для подсистемы УКВ радиосвязи:

- Обращаться лицам в возрасте 25-40 лет, которые должны иметь:**
- базовые знания системы радиосвязи.
  - знания компьютера на уровне пользователя
  - иметь высшее образование;
  - свободно владеть грузинским и английским языками;
  - желательно иметь опыт работы.
- Они проходят подготовку, имеющую своей целью получение знаний, необходимых, чтобы уметь анализировать состояние системы и знать любые способы устранения неисправностей.**

**Заинтересованные лица, которые удолетворяют выше указанным условиям, до 31 января 2005 года должны представить письмо с объяснением, почему вы желаете занять указанную вакансию, автобиографию (CV), также желательно представить рекомендацию (в том числе при наличии трудового стажа) и одну карточку по следующему адресу: Тбилиси, поселок Аэропорта №8 или переслать по электронной почте по адресу [office@airnav.com](mailto:office@airnav.com).  
Для получения дополнительной информации обращайтесь по телефону +995 32 947739, +995 32 947373**

გამომცემელი რუსთავე 2 პრინტი. მისაბერი რედაქტორი მამუკა ფარულაძე. პაატა ვეშაპიძე (მხარველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომცემელი რედაქტორი), ირაკლი ლევაია (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლტერატურა - მალხაზ ხარბელი, სამხარეო - ქვიციანი სადღესასწაულებელი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - მიხეილ ვაშაძე, მუსიკა - ვალერი ჯინგაძე. ფოტო: ბესი გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმაღაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ტექნიკა: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მათა ვახაშვილი, ლელა ნიქარაშვილი, დავით გუგუცკორი, დიმიტრი მალუტაშვილი, თენგიზ ქორია, პაატა ქორიაძე. ტიპოგრაფია: ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტრაძე, ხათუნა გვიგუშვილი, დიდა მწელიძე, ლია თოფურია, რეკლამა - ზურაბ ვაოშვილი.



# საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს

## სტაჟიორთა მიღების კონკურსს

“საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ” (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, წიგნი III, მუხლი 1326, 10.12.04) და საქართველოს გენერალური პროკურატურის 2004 წლის 10 დეკემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში (გარდა საქართველოს გენერალური პროკურატურისა) სტაჟიორთა მიღების კონკურსს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება და რეგისტრაცია წარმოებს 2004 წლის 22 დეკემბრიდან 2005 წლის 4 იანვრის ჩათვლით, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10 სთ-დან 17 სთ-მდე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულია სტაჟიორთა შემდეგი ლიმიტები:  
 ქ. თბილისის პროკურატურა - 6 სტაჟიორი, მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურა - 2 სტაჟიორი, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა - 2 სტაჟიორი, შიდა ქართლის საოლქო პროკურატურა - 2 სტაჟიორი, კახეთის საოლქო პროკურატურა - 2 სტაჟიორი, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა - 2 სტაჟიორი, იმერეთის საოლქო პროკურატურა - 2 სტაჟიორი, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურა - 2 სტაჟიორი, აჭარის ავრ პროკურატურა - 3 სტაჟიორი, ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანლის რაიონული პროკურატურა - 2 სტაჟიორი, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურა - 2 სტაჟიორი, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურა - 2 სტაჟიორი, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა - 2 სტაჟიორი, ქ. თბილისის გლდან-ნაძალადეთის რაიონული პროკურატურა - 2 სტაჟიორი, მცხეთის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, დღუშეთის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, რუსთავის საქალაქო პროკურატურა - 2 სტაჟიორი, მარნეულის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ბოლნისის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ვიზის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ხაშურის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, თელავის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, გურჯაანის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, სიღნაღის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ახალციხის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ახალქალაქის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ქუთაისის საქალაქო პროკურატურა - 2 სტაჟიორი, ზესტაონის რაიონული პროკურატურა - 2 სტაჟიორი, ჭიათურის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ზუგდიდის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ზემოციხის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, სენაკის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ფთის საქალაქო პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ოზურგეთის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ამბროლაურის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ცაგერის რაიონული პროკურატურა - 1 სტაჟიორი, ბათუმის საქალაქო პროკურატურა - 3 სტაჟიორი.

სტაჟიორობის კანდიდატების მიერ საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის სამდივნოში კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების შეტანა ხდება საერთო წესით.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად - წერილობითი (ტესტირება) და ზეპირი (გასაუბრება). წერილობით კონკურსის ჩატარების დრო და ადგილი გამოქვეყნდება წერილობითი კონკურსის ჩატარებამდე 7 დღით ადრე.

კონკურსის პირველ ეტაპზე სტაჟიორობის კანდიდატმა დედებითი შეფასების მისაღებად სწორად უნდა უპასუზოს შემთავაზებული ტესტების 75%-ს.

წერილობითი კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, ტესტირების ჩატარებიდან მუშვიდ დღეს სტაჟიორობის კანდიდატთა თეორიული ცოდნის, პირადი თვისებებისა და შესაძლებლობების, დასაკავებელ თანამდებობისათვის წაყენებულ მითხვევებთან შესაბამისობის შეფასებისათვის მოუყვება გასაუბრება. სტაჟიორთა კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საქართველოს პროკურატურის სტაჟიორების გავლის კომისიის სამდივნოში (მისამართი: ქ. თბილისი, ვორკასლის ქ. N24-ში) საქართველოს გენერალური პროკურატურის შენობის პირველი სართული, ოთახი N 102, ტელეფონი - 98 25 76) უნდა წარმოადგინოს:

- ა) წერილობითი განცხადება;
  - ბ) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი და საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის მოქმედების ასლები.
  - გ) ავტობიოგრაფია (ნაბეჭდი ფორმით);
  - დ) დიპლომის ასლი, ნიშნების ფურცელთან ერთად;
  - ე) ორი რეკომენდაცია;
  - ვ) ამონაწერი შრომის წიგნიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ზ) ორი ფოტოსურათი (3/4);
  - თ) სერტიფიკატის ასლი პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ;
- სტაჟიორობის კანდიდატმა სტაჟიორთა კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში სამდივნოს დამატებით უნდა წარუდგინოს:
- ა) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;
  - ბ) ცნობა ნარკოლოგიური დისპნსიურიდან;
  - გ) სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობის ასლი.
- წერილობითი კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება ტესტირების დასრულებიდან 2 დღის ვადაში. ზეპირი კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება გასაუბრების დასრულებიდან 2 დღის ვადაში.

კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში კომისია განხილავს სტაჟიორობის კანდიდატთა პრეტენზიებსა და საჩივრებს.

საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების საერთო ვადა ერთი წელი, რომელიც იყოფა სამ ეტაპად: სტაჟიორი, საქართველოს პროკურატურის შესაბამის ორგანოში ექვსი თვის განმავლობაში გადის სტაჟირებას სამაგისტრო მომზადებისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების გამოსაშუავებლად. ამის შემდგომ იგი სამი თვის განმავლობაში აგრძელებს სტაჟირებას საპროკურორო-საგანმამხედველო მუშაობისათვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების შესაძენად, ხოლო დასკვნით ეტაპზე სამი თვის განმავლობაში გრძელდება სტაჟირება სასამართლოში სახელმწიფო პრაქტიკანობისათვის დამახასიათებელი გამოცდილების მისაღებად. სტაჟირების საერთო ვადის გასვლის შემდეგ, სტაჟიორები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სტაჟირება, ჩარიცხებიან საქართველოს პროკურატურის რეზერვში, რომლის მიზანს წარმოადგენს პროკურატურის მუშაკთა კანდიდატების შერჩევა საქართველოს პროკურატურაში არსებული ვაკანსიების დასაკავებლად. სტაჟიორად დანიშნული პირის შრომის ანაზღაურება არ უნდა იყოს საქართველოს პროკურატურის გამოძიებების თანამდებობრივი სარგის ნახევარზე ნაკლები.

საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ დამტკიცებული წერილობითი კონკურსის პროგრამა შედგება შემდეგი თემატიკისაგან: **ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, საქართველოს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები.**

### პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ნ ი ლ ი

#### ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

**თემა I. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი** საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების როლი საქართველოს კანონმდებლობაში; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა იურიდიული ზეგავლა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. ადამიანის უფლებათა მეზღუდვის პირობები საქართველ-

ის საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.

#### თემა II. ადამიანის უფლებათა ძირითადი საერთაშორისო სტანდარტები

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით ადამიანის შემდეგი ძირითადი უფლებების რეგულირება, მათ შორის ევროპული სასამართლოს ძირითადი პრეცედენტები ამ უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებით:  
 - სიცოცხლის უფლება;  
 - ნაშობის ან არაშობიანი ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა;  
 - მონობის, იძულებითი ან სავადლებულო შრომის აკრძალვა;  
 - თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება;  
 - საქმის სამართლიანი განხილვის უფლება;  
 - სისხლის სამართლის კანონმდებლობის უკუქცევითი გამოყენების აკრძალვა;  
 - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება;  
 - აზრის, სიწმინდისა და რელიგიის თავისუფლება;  
 - გამოსატვის თავისუფლება;  
 - შერყებისა და გაერთიანების უფლება;  
 - ევგეტბინი მოდასახელმწიფობრივი დაცვის ხელშისანვ-დომიის უფლება;  
 - დისკრიმინაციის აკრძალვა;  
 - საკუთრების უფლება;  
 - სახელშეკრულებო ვალდებულების მუქარულებლობის გამო თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა;  
 - თავისუფალი გადაადგილების უფლება;  
 - საკუთარი ქვეყნიდან მოქალაქეთა გაძევების აკრძალვა;  
 - უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა;  
 - სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფ უცხოელთა გაძევების აკრძალვა;  
 - ზემდგომ სასამართლოში განაჩენის გასაჩივრების უფლება;  
 - კომპენსაციის მიღების უფლება არაპარტეული მსჯავრდებისათვის;  
 - ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის ხელშეორედ გასამართლებისა ან დასჯის აკრძალვა.

#### თემა III. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანოები

ადამიანის უფლებათა დაცვის საზედამხედველო ორგანოებისადმი ინდივიდუალური განაცხადით მიმართვის პირობები (გაერთიანებული უფლებათა კომიტეტი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო).

#### თემა IV. სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საქართველოს ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები

ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ. ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ. სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციის შესახებ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონვენცია სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობათა შესახებ.

#### რეკომენდებული ლიტერატურა:

კ. კორკელია, ი. ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2003 წელი, თბილისი;

კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, გამომცემლობა "მეგა", 2004 წელი;

კ. კორკელია, ექსტრადიცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ჟურნალი "ქართული სამართლის მიმოხილვა", 5. N1, 2002 წელი;

კ. უბლაშვილი, ადამიანის ძირითადი უფლებები, 2003 წელი, თბილისი;

დ. გომიერი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეტყუერი, თბილისი, 2002 წელი;

ლ. ფაფაშვილი, როგორ მიემართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, თბილისი, 2001 წელი;

მ. მაკაევი, პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, თბილისი, 2004 წელი; გამოსატვის თავისუფლება, წიგნი I, შემდგენელი: ზ. ადეიშვილი, რ. რამიშვილი, ა. მილერი, 2002 წელი;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენითა კრებები, წიგნი I და II, თბილისი, 2004 წელი;

ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ, თბილისი, 2004 წელი;

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი;

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

### მ ი რ ა ნ ა ნ ი ლ ი

#### სისხლის სამართალი

#### ა) ზოგადი ნაწილის საკითხები

**თემა I. სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა მიმართ - სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც განისაზღვრება ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა**

- დანაშაულის ჩადენის დრო.
- სისხლის სამართლის კანონი, რომელსაც აქვს უკუქალა. კანონი, რომელსაც არ შეიძლება მიენიჭოს უკუქალა.
- კანონი, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა. კანონი, რომლის საფუძველზეც გამოიყენება აღმზრდელიობითი ზემოქმედებისა და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულისათვის.
- შეზღუდვები, როდესაც დანაშაული ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილად.
- იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა ხომალდზე საქართველოს სახელმწიფო აღმით ან ამოსაცნობი ნიშნით ანდა ასეთი ხომალდის წინააღმდეგ.
- საქართველოს მოქალაქისა და საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებათა მიხედვით.
- შემთხვევები, რომელთა დროს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

#### თემა II. დანაშაული როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, დანაშაულის კატეგორიები

- ქმედები, რომელიც ჩაითვლება დანაშაულად და წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს.
- ქმედების ცივრე მნიშვნელობის სამართლებრივი შედეგი.
- მიზეზობრივი კავშირის იხეთი მოქმედების ჩადენისას, რომელმაც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან შექმნა ასეთი შედე-

გის განხორციელების კონკრეტული საფრთხე.  
 - მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივი უმოქმედობის დროს.  
 - ქმედება, რომელიც ითვლება განზრახ დანაშაულად.  
 - ქმედება, ჩადენილი თვითიმედოვნებითა და დაუდევრობითი.  
 - პასუხისმგებლობა თანამდევნი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის.  
 - დანაშაულის კატეგორიები: ნაკლებად მძიმე დანაშაული, მძიმე დანაშაული და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

#### თემა III. ერთიანი დანაშაული და დანაშაულის სიმრავლე

- დენადი დანაშაული.
- განვარდობითი დანაშაული.
- არაერთგზისი დანაშაული.
- დანაშაულთა ერთობლიობა.
- დანაშაულის რეციდივი, სამიში რეციდივი და განსაკუთრებით სამიში რეციდივი. ნასამართლობა, რომელიც არ მიიღება მხედველობაში რეციდივის დადენისას.
- რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტი.

#### თემა IV. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაუშორებელი დანაშაულისათვის (დანაშაულის მომზადება და მცდელობა)

- დანაშაულის მომზადება და დანაშაულის კატეგორია, რომლის მომზადებაც ისევება. კანონი, რომლითაც განისაზღვრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის.
- დანაშაულის მცდელობა. კანონი, რომლითაც განისაზღვრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მცდელობისათვის.
- დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების სამართლებრივი შედეგი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტორად ჩადენილი ქმედებისათვის.
- დანაშაულის ორგანიზატორის, ნამქმუნებისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პირობები დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას.

#### თემა V. დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა

- პირი, რომელიც ჩაითვლება დანაშაულის ამსრულებლად.
- დანაშაულში თანამონაწილეობა.
- დანაშაულის ორგანიზატორი.
- დანაშაულის ნამქმუნელი.
- დანაშაულში დახმარება.
- დანაშაულის ამსრულებლის, თანამსრულებლის, ორგანიზატორის, ნამქმუნებისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებში და მისი განსაზღვრის წესები.
- იმ პირის პასუხისმგებლობა, ვინც ვერ შეძლო სხვა პირის დაყოფილება დანაშაულის ჩასადენად.
- ამსრულებლის ექსცესის არსი და მისი სამართლებრივი მნიშვნელობა.
- ჯგუფური დანაშაულის სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა დანაშაულის ჯგუფურიად ჩადენისას.

#### თემა VI. მართლწინააღმდეგობის გამოძიციხველი გარემოებები

- აუცილებელი მოვარება.
- უკიდურესი აუცილებლობა.
- დანაშაულის შეუკრობა
- მართლზომიერი რისკი.
- მართლწინააღმდეგობის გამოძიციხველი ისეთი გარემოებები, რომლებიც უშუალოდ სისხლის სამართლის კოდექსში არ არის გათვალისწინებული.

#### თემა VII. სისხლის გამოძიციხველი გარემოებები

- სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობის ასაკის მოუწველობა როგორც ბრალის გამოძიციხველი გარემოება.
- ფსიქიკური დაავადება როგორც მუერაცხაობის საფუძველი, რომელიც პირის ბრალს გამოიციხვავს მის მიერ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას.
- შეზღუდული შერაცხადობა და მისი სამართლებრივი შედეგები.
- სავადლებული ბრძანების ან განკარგულების მსურულება როგორც ბრალის გამოძიციხველი გარემოება.
- შეცდომის მნიშვნელობა სისხლის სამართალში და მისი სამართლებრივი შედეგები.
- ბრალის გამოძიციხველი ისეთი გარემოებები, რომლებიც უშუალოდ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული არ არის.

#### თემა VIII. სასჯელები სისხლის სამართალში

- სასჯელის სახეები.
- ძირითადი და დამატებითი სასჯელები.
- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა და მისი დანიშნვის საფუძველი.
- უვადო თავისუფლების აღკვეთა. პირები, რომელთა მიმართ არ შეიძლება დანიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა.
- სასჯელის დანიშვნა შემამსუბუქებელი გარემოების არსებობისას;
- კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.
- სასჯელის დანიშვნა დანაშაულის მომზადებისა და დანაშაულის მცდელობის ჩადენისას.
- სასჯელის დანიშვნა დანაშაულის თანამონაწილეთა მიმართ.
- სასჯელის დანიშვნა დანაშაულის რეციდივის დროს.
- სასჯელის დანიშვნა განაჩენითა ერთობლიობის დროს.

#### თემა IX. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განაკვეთისუფლება, ნასამართლობა

- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების პირობები ქმედითი მონაწილების დროს.
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო.
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ვითარების შეცვლის გამო.
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ბრალდებულის სავამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო.
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.
- ნასამართლობის სისხლის სამართალში. ნასამართლობის მოხსნა და გაქარწყლება.

#### ბ) კერძო ნაწილის საკითხები

- განზრახ მკვლელობის სახეები (მუხ. მუხ. 108-114)
- სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით (მუხ. 116)
- ჯანმრთელობის განზრახ ზიანების სახეები (მუხ. მუხ. 117-119, 121-123)
- ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა: სიცოცხლისათვის სამომ მდგომარეობაში ჩაყენება (მუხ. 127); განსაკდელში მიტოვება (მუხ. 128); დაუხმარებლობა (მუხ. 129); ავადმყოფის განსაკდელში მიტოვება (მუხ. 130); სხვისთვის ზიანის და განსაკუთრებით სამიში ინფექციური დაავადების შეყრა (მუხ. მუხ. 131-132).
- სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული: გაუპატიურება (მუხ. 137); სექსუალური ხასიათის ძალმობრებითი მოქმედება (მუხ. 138); სექსობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექმედები წლის ასაკს მიუღწევდელთა (მუხ. 140).
- ადამიანის თანასწორუფლებიანობის დარღვევა და რასობრივი დისკრიმინაცია (მუხ. მუხ. 142-1421).
- თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მუხ. 143).
- ადამიანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (მუხ. 1431).

- არასრულწლოვანი ვაჭრობა (ტრეფიკინგი) (მუხ. 1432).
- მძევლად ხელში ჩაგდება (მუხ. 144).
- განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (მუხ. 147).
- უკანონო მოთავსება ან დაკავება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (მუხ. 149).
- სიტყვის თავისუფლების ხელყოფა (მუხ. 153).
- ადამიანის დაცვა (მუხ. 156).
- პირადი ხასიათის საიდუმლოებების ხელყოფა (მუხ

**ბიოთეხა გვარდნიანი**

ვი დევნის აღძვრაზე უარს თქმის და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძვლები.  
 - დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ და მისი გასაჩივრების წესი.  
 - სისხლის სამართალწარმოების შეჩერების საფუძვლები და ვადები.

**თემა IV. სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეები და მათი უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის პროცესში**

- საქართველოს პროკურატურის სისტემა.
- პროკურატურის ფუნქციები სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით.
- პროკურორის ვალდებულებები მოკვლევის ორგანოების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებისას.
- პროკურორის უფლებამოსილებები გამოძიების საპროცესო ხელშეწყობის ფუნქციის განხორციელებისას.
- პროკურორის უფლებამოსილებები სასამართლოში.
- გამოძიების სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილებები.
- წინასწარი გამოძიების ორგანოები. საგამოძიებო ორგანოს უფროსი და მისი უფლებები.
- სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობა (უნაწევრივი, პერსონალური და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობა).
- მოკვლევის ორგანო, მისი ამოცანები და მოვალეობები სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით.
- მოკვლევის ორგანოები საქართველოში.
- მოკვლევის ორგანოსა და მოკვლევის უფლებამოსილებები.
- პირის ექვემდებარება ცნობა. ექვემდებარების უფლებები და მოვალეობები.
- პირის ბრალდებულად ცნობა. ბრალდებულის უფლებები და მოვალეობები.
- დამცველი სისხლის სამართლის პროცესში, მისი უფლებები და მოვალეობები.
- დაცვის სახეები. დამცველის მონაწილეობა და შეცვლა.
- მინიმის უფლება-მოვალეობები.
- პირი, რომელიც არ შეიძლება იყოს მონაწილე.
- ექსპერტი, მისი უფლება-მოვალეობები სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით.
- საგამოძიებო მოქმედების დასწრე, მისი უფლება-მოვალეობები.
- საქმეში მოსამართლის, პროკურორის, გამოძიებლის, მოკვლევის, სასამართლო სხდომის მდიანის, ექსპერტის, დამსწრის და დამცველის აქტიულობის საფუძველი და წესი.

**თემა V. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში**

- მტკიცებულების არსი.
- დაუმტკიცებელი მტკიცებულება და მტკიცებულების დაუმტკიცებლად ცნობის წესი.
- მტკიცებულების სახეები (ექვემდებარების ჩვენება; ბრალდებულის ჩვენება; დაზარალებულის ჩვენება; მოწმის ჩვენება; ექსპერტის დასკვნა; ნოთიერი მტკიცებულება; საგამოძიებო და სასამართლო მოქმედებების ოქმები; დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება)
- მხარეების მიერ მტკიცებულებების შეკრება და წარდგენა.
- მტკიცებულების საპროცესო დამაგრება.

**თემა VI. სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებები**

- სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება მოკვლევის, გამოძიების, პროკურორისა და სასამართლოს მიერ.
- სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენება დასამართლად მიზნად მუდმივად მთავრობის მიმართვის უფლება და მიმართვის წესი. სასამართლოს მიერ მუდმივად მთავრობის განხილვისა და მის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი.
- სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახეები.
- დაკავების საფუძველი და გამოყენების წესი. დაკავების საპროცესო ვადები. დაკავებისგან პირის გათავისუფლების საფუძველი და წესი.
- აღკვეთის ღონისძიების სახეები, მათი ვადები, შეჩერებისა და გამოყენების წესი (დაპატიმრება; შინაპატიმრება; პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა; გირაო; ხელნერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ; პირადი თავდებობა; არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა; საშხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარღობის მეთვალყურეობა).
- ბრალდებულისა და ექვემდებარების თანამდებობიდან გადაყენება როგორც სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიება.
- ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველი და წესი.

**თემა VII. სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანება და გამოყოფა**

- სისხლის სამართლის საქმეების გაერთიანების საფუძველი და წესი.
- სისხლის სამართლის საქმის გამოყოფის საფუძველი და წესი.

**თემა VIII. წინასწარი გამოძიება**

- წინასწარი გამოძიების სახეები.
- წინასწარი გამოძიების ვადები.

**თემა IX. ბრალდებულის სისხლის სამართლის პროცესში**

ლოყებს შემოანვება ხოლმე. ერთი სიტყვით, ყველა დეტალი გათვლილია, ფერიც და იდეაც. ამ ყველაფერს კი ჯერ თარგმანში, შემდეგ კი კელვინ კლაინის სამყაროში დაკარგული სკარლეტ იოჰანსონის მშვენიერება ემატება - რალაციტი მერილინ მონროს მსგავსი. ტრენტ ფორდის გმირს კი ნამის შესაჩერებლად უამრავი მიზეზი უგროვდება. იოჰანსონის გარდა, კელვინ კლაინის ამ ახალ სურნელოვან პროექტზე კიდევ ორი ვარსკვლავი იყო დაკავებული: ფოტოგრაფი პიტერ ლინდერგი და დიზაინერი - ფაბიენ ბარონი. პირველი შავ-თეთრ ტრენებზე მომუშავე ცნობილი ფოტოგრაფია, რომელიც CK-ის შემთხვევაშიც მშვენიერად ახერხებს ორი სავსე ფერი მარადიული ნამის მშვენიერად მოსხვედრას. მეორე კი - ფაბიენ ბარონი, ჯერ იტალიური "ვოგის", შემდეგ Harper's Bazaar-ის რედაქტორი, CK-ის გარდა, "პრადას", "ისი მი-აის", ჯორჯო არმანის, მაიკლ კორ-

სის და სხვა ცნობილი დიზაინერების სარეკლამო კამპანიების ავტორი. აქედან გამომდინარე კი, რა გასაკვირია, რომ კელვინ კლაინმა ტრადიციას არც ამჯერად დაარღვია და თავისი ახალი სუნამოსთვის ისეთი სარეკლამო რგოლი გააკეთა, რომ ხალხი აალაპარაკა. სუნამოს ამერიკულ პრეზენტაციას, ქართულისგან და საერთოდ აღმოსავლეთ ევროპულისგან განსხვავებით, თვითონ ვარსკვლავებიც ესწრებოდნენ. მშვენიერმა სკარლეტმა იმ დღეს განაცხადა, რომ კელვინ კლაინის ახალი სურნელი ცინცხალი, თანამედროვე და ახალგაზრდულია; კელვინ კლაინის ფასეულობები კი - გრილი სურნელი, სპორტულობა, სილაღე, ახალგაზრდულობა - ეს ისაა, რაზეც უარს ვერასდროს იტყვის. ალბათ, იმ დღეს 20 წლის კინოვარსკვლავმა ბევრი გოგოს სათქმელი თქვა, ბევრ ბიჭს კი ნამის შეჩერებაც გულწრფელად მოანდომა.

# სადარბაზოს კარს მიღმა




ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ ძველი თბილისის სამყაროს ამოუწურავი მრავალწილი სურბურისა ცვთავაზობს. მის სიფრცეს მართლაც აქვს ერთი უცნაური თვისება - თითქოსდა "სურს" არა მხოლოდ მიგაპრობინოს ყურადღება, მიგიზიდოს, არამედ ხანდახან "შეგიტყუოს" კიდევ თავის შეფარულ არეულობაში. ხვეულ ქუჩებში სიარულის დროს მუდამ იხსნება ხოლმე სრულიად მოულოდნელი ხედები. სივრცითი პლანები აქ მართლაც უაღრესად მრავალმხრივია, რაც, როგორც ვიცით, აყალიბებს ზოგჯერ აურაცხელი ოდენობის მცირე "სივრცეებს". ამგვარი მრავალსივრცეულობა კი ზადებს ამ გარემოს სპეციფიკურ, წმინდა წყლის თბილისურ "მყუდრო დინამიკურობას", რომელიც უაღრესად ორიგინალურია, სხვა ქალაქებისთვის მეტწილად უჩვეულო. თბილისის ყოველ ძველ უბანს აქვს თავისი მკაფიოდ გამოკვეთილი სახე და იმავდროულად, მათი ხუროთმოძღვრული "ტექსტები" ღრმად მონათესავეა: საზიარო და ერთიანი სულიერების მატარებელი აქ აშკარად გადაწონის სხვაობრივს... ძველი თბილისის ქუჩებში "მოგზაურობა" უზარმაზარი ინფორმაციის შემცველია. ყოველი სახლი აქ ხომ ინდივიდუალურია, რომელიც კონტაქტში შემოდის, თითქოს გესაუბრება, მოგმართავს თავისი აივნებით, სარკმელთა მონარჩოებით, დეკორით, გარინდული ატლანტებითა თუ მასკარონებით... არაერთგან ფასადთა თავისებურად "არამკაცრი", კულტურული მესხიერების ზოგადად შემნახველი, ხანდახან თამამისმიერი "მითოლოგია" წარმოადგენს თავისებურ, რეტროსპექტივისტულ, ეკლექტურ "ხილვას" ევროპული კულტურისა, რომელიც დანახულია ძველთბილისური ქუჩების თვალსაწიერიდან. ეს ქუჩები თითქოს ელოდა ევროპული სივრცის ჩვენში დამკვიდრებას - ეს კი საუკუნეთა მანძილზე გამოტარებული სურვილის ახდენას ჰგავდა. თუმცა, კარგად ცნობილია ისიც, რომ ამავე ქალაქის სივრცეში სრულიად შინაურად გრძობდა თავს "ალმოსავლეთიც", თავისი არა მხოლოდ ხის აივანთა ფანტასტიკური, ზმანებისეული ჩუქურთმით, არამედ დუღუკის, თარისა და ქამანის ჩვეული ხმოვანებით და ქალაქისავე უკლორითული "პერსონაჟებით", რომელნიც შეიფარა ოსკარ შერინგის, ბაუბუქ მელიქოვის, მოსე თოძის, ლადო გუდიაშვილის ნახატებმა; იოსებ გომიშვილის, ვასილ ბარნოვის, დემნა შენგელიას, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის სტრიქონებმა...

თბილისის ძველ უბნებში სვლას ახასიათებს თავისი დინჯი რიტმი. გულგრილად, "სულერთია" განწყობით აქ ძნელად თუ ჩაივლი. მცირე მანძილზე ბევრი რამ მიიზიდავს ჩვენს მზერას. ამას ახლავს პაუზები, თავისებური "შეყოფილებანი". მიელი ქუჩის სივრცეს ძალაუნებურად ათვალისწინებს, "მოიხილავს", თითქოს კითხულობს მის არქიტექტურას, აღიქვამს, ზოგ შემთხვევაში - ამავე ქუჩის "სპონტანურ ანსამბლურობას". უბრალოდ, წარმოუდგენელია მსგავსი რამ, მაგალითად, ევროპულ ნოდებულ "ხრუმოვკების" გარემოში, ანდა სხვა, უფრო "თანამედროვე" ახალმშენებლობათა გარემოცვაში, რომელნიც არ გაინტერესებს, როგორც კი გასურს, რაც შეიძლება მალე გასცილდეს, როგორც ემოციურად გამაღარბებელ, დამთრგუნველ განაშენიანებას. კიდევ კარგი, ზოგიერთ ასეთ უბანში სახლთა შორის მანძილი მოზრდილია და, შესაბამისად, გამწვანების მინიმალური მოთხოვნები მაინც არის დაცული.

კვლავ ძველ უბნებს დავუბრუნდეთ: წარმოვიდგინოთ, რომ აღმოგჩნდით რომელიმე სახლის, ამ შემთხვევაში, არაორდინარული სადარბაზოს კარის წინ, რომელმაც თავისი კეთილგანწყობით "შეგვიპატიჟა" (თუმცა, შესაძლოა, ამ შენობის მცხოვრებთ არც კი ვიცნობდეთ). ვალები კარს, რადგანაც ვგრძნობთ, რომ ამ კარის მიღმა კიდევ რაღაც ახალი საიდუმლო იმალება - იმედი არც გვიცრფუდება: კიბე თავისი აფურული, ფილიგრანულად დამუშავებული საფეხურებით, "პერფექტული" დიზაინით გამორჩეული, მართლაც უმაღლესი ოსტატობით შესრულებული ცხაურით, თითქოს ხელს მორგებული მოაჯირით, უბრალოდ, ჩინებულია! ის არა მხოლოდ გახალისებს, გიქმნის კარგ განწყობას, არამედ ცნობისნადილსაც ჰზადებს. აი, ავუყვებით კიდევ კიბეს და კიდევ ახალი ინფორმაცია, ახალი "უწყება": აღმოჩნდა, რომ "სადარბაზოს ინტერიერი" მოხატულიც ყოფილა, რამაც მას უკვე სხვა რიგის დატვირთვა თუ მნიშვნელოვანება შესძინა. იქნებ ეს მოხატულობა შედეგად არც იყოს, მაგრამ მან თავისი როლი უკვე შეასრულა, ვინაიდან შემოვიდა ჩვენს ემოციურ სახილველში, როგორც არა მეორადი, საკმარისად მნიშვნელოვანი რამ, სახლთან "დილოგის" თანამონაწილე. კიბის ცხაური იმავე დროს ეხმარება ფასადთა ლითონის აივნებს, მაგრამ გამომარჩევს ორნამენტის უფრო მეტად გამოხატული, კიბის რიტმთან შესატყვისად "მომრავი" სული. სადარბაზოებში შეხვედებით უფრო სადა და მოკრძალებულ ხის კიბეებსაც, რომლებიც ზოგან ხვეულია და, თავის მხრივ, ეზოთა სპირალურად ზეაღმავალ კიბეებთან პოვესს გადაძახილს. მათ ამშვენებს თავისებური, სხვაობრივი სივრცითი აურის მატარებელი, პლასტიკურად ნაირგვარი, ხან ვიტალურად საცხე, ხანაც ტანვრითი, მსუბუქი რიკულები. მთლიანობაში სადარბაზოს შიდა არე, ეზო, აივანი, საფსაადო კარი და სხვა ერთიანი ხუროთმოძღვრული სამყაროს ვარიაციებად წარმოგვიდგება. აქ გამოქვეყნებული ფოტოსურათები ეკუთვნის კინორეჟისორ სალომე კობახიძეს, რომელიც პარიზში აღიზარდა და მსოფლიოს მრავალ ქალაქს კარგად იცნობს... იგი აღფრთოვანებას ვერ მალავს ძველი თბილისის არაჩვეულებრივად თავისთავადი ფენომენით და მიეკუთვნება იმათ რიცხვს, რომელთათვისაც აქ "ფოტო" თუ "კინო" მოგზაურობა გარდუვალი აუცილებლობა, მინაგანი მოთხოვნაა.

# უკანონო პირტუალური ვაჭრობის მსხვერპლნი

კინონდუსტრიის ქსელს, რომელიც ინტერნეტით ფილმების მეკობრული ასლებით ვაჭრობას ებრძვის, ახალი მსხვერპლი ჰყავს. ცნობილი საიტი [suprnova.org](http://suprnova.org) საქმეში იურიდიული მხარის ჩარევის შემდეგ დაიხურა. ახლახან წარმოებული კვლევის შედეგად ცნობილი გახდა, რომ კომპიუტერებს შორის მეკობრული ფაილებს უკანონო ვაჭრობის ნახევარი სწორედ ამ ქსელის დახმარებით ხდებოდა.



კვირას საიტზე გაჩნდა ასეთი ცნობა: [suprnova.org](http://suprnova.org) წყვეტს არსებობას მისთვის ჩვეული ფორმით. როგორც ვარაუდობენ, საიტის დახურვის მიზეზია კინოს ამერიკული ასოციაციის განცხადება, რომლითაც ასოციაცია იწყობდა BitTorrent-ის სერვერების მეპატრონის საქმიანობის შესწავლას. კინომწარმოებლები იმედოვნებენ, რომ საიტის დახურვა მნიშვნელოვნად დააზარალებს მსგავსი საქმი-

ანობით დაკავებულებს. კამპანიის დასაწყისში კინოს ამერიკული ასოციაციის იურისტებმა ასი სარჩელი შეიტანეს

BitTorrent-ის სერვერების მეპატრონეთა წინააღმდეგ. ასეთმა სტრატეგიამ სასურველი შედეგი გამოიღო. [suprnova.org](http://suprnova.org)-ს პარა-

ლელურად დაიხურა პოპულარული საიტი Phoenix Torrents. როგორც ჩანს, მიზეზი ამ შემთხვევაშიც იგივეა.

# გაიყიდა ლებენდარული ბიტარა

"ქრისტის" აუქციონზე ნიუ იორკში 567,5 ათას ამერიკულ დოლარად გაიყიდა "ბიტლზის" ელექტროგიტარა. ამ ინსტრუმენტზე ჯგუფის ორი წევრი - ჯორჯ ჰარისონი და ჯონ ლენონი უკრავდნენ. თავდაპირველად გიტარა ჰარისონს ეკუთვნოდა - სწორედ ამ ინსტრუმენტით ჩანერა მუსიკოსმა ერთ-ერთი ალბომი 1966 წელს. 1969 წელს გიტარა ჰარისონმა ლენონს აჩუქა. მოგვიანებით კი ის ჯგუფ Badfinger-ის ლიდერის პიტერ ჰემის საკუთრება გახდა; ჰემის გარდაცვალების (მუსიკოსმა 1974 წელს მოიკლა თავი) შემდეგ ინსტრუმენტი დარჩა მუსიკოსის ძმას, რომელიც გიტარას საწოლის ქვეშ ინახავდა. საბოლოოდ ინსტრუმენტი აუქციონზე უცნობმა ადამიანმა შეიძინა. აუქციონზე ელექტროგიტარასთან ერთად გატანილი იყო "ბიტლზთან" დაკავშირებული 70-მდე ნივთი. გაზეთ "ვაშინგტონ სტარსთვის" მიცემული ლენონის ინტერვიუ, რომელსაც აქამდე ფართო საზოგადოება არ იცნობდა, აუქციონზე 53,8 ათას ამერიკულ დოლარად გაიყიდა. საერთო ჯამში, აუქციონზე ნაყაჭრმა 2 მილიონ დოლარს გადააჭარბა.







# ერთხელ კიდევ

**81 ბიარძილიანი**

უბედობა გადაგვისერის, განათლების მისაღებად თუ თავშესაფარის სათხოვნელად. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფუტკარიც კი არსებობს ქართული ჯიშისა! მსოფლიოში შეიძლება ჯერ არ იცის (დიდხანს ვიყავით იმპერიის ჯურღმულეებში ჩამწყვდეულნი), მაგრამ აუცილებლად გაიგებს. მთავარია, ჩვენ არ გადაუმენდეთ იქამდე. ამის სამშობობა კი ნამდვილად არსებობს. განგებ შეგვყარეს თუ ჩვენ თვითონ დავიმართეთ შეგნებულად, აშკარად ავი სენი გვჭირს. ამ სენს სამშობლოზე გულის აცრუნება ჰქვია და ძნელი სათქმელია, რატომ უნდა შეგვყროდა მაინცდამაინც ჩვენ, როცა ყველა ჯურის განდამთიელს მაინცდამაინც ჩვენს სამშობლოზე რჩება თვალი. მაგრამ რაკი შეგვეყარა, ახლა განკურნებაზე უნდა ვიფიქროთ მხოლოდ. რაც შეიძლება სწრაფად უნდა განვიკურნოთ ამ სამარცხვინო სენისგან, თორემ ოდესღაც შესაშურად წინიერი ხალხი, სანიშნოდ უნდა წერი ხალხად ვიქცეთ ღამის. რასაკვირველია, ერთბაშად არ მომხდარა ეს. როგორც ჩათვლილემ ბავშვს საყვარელ სათამაშოს გამოაცლის ხოლმე დედა ხელიდან, ისე გამოგვაცალა ვიცაცამ, "ჩვენზე მზრუნველმა" ნიგნი, და ჩვენც თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, თვითონაც რომ ვერ გავიკეთ, უმცირეების წყვილიამი აღმოვიჩნდი ბოლოს, სადაც უფრო იოლად ვიციწყებთ წინაპართა დადგენილს და უფრო თამამად მისვლევთ სხვათა ადათ-

ნესებს. უფრო მეტიც, ღამის ადმინისტრაციული მეთოდებით ვაუქმებთ ძველს და ვამკვიდრებთ ახალ ტრადიციებს. ეს კი მიუტყვევებლად შეცდომაა, დანაშაულზე რომ არაფერი ვთქვათ. დრომოჭმული ტრადიცია თავისთავად და ახალიც, ფაქტობრივად, თავისთავად მკვიდრდება, თუკი მისთვის ხელსაყრელ პირობებს შექმნის ცხოვრება. აქედან გამომდინარე, როგორც ძალით დამკვიდრებულ, ისევე ძალით ამოძირკვეულ ტრადიციას მხოლოდ და მხოლოდ არასასურველი და არასასიამოვნო შედეგი შეიძლება მოუტყვოს. განა თბილისის ქუჩებიდან ტრამვის გაერობამ, ტრადიციული იერთან ერთად, ხასიათიც არ შეუცვალა ქალაქს?! ვილაცის "ჯადოქრობის" წყალობით ერთ მშვენიერ დღეს უცხო ქალაქში გამოგვეღვიძა თითქოს, თუმცა, ადგილი შესაძლებელია, ბევრი ჯერ კიდევ ვერ ხვდებოდეს ამას. ტრამვი არა მარტო აღამაზებდა, უფრო სწორად, არა მარტო ამშვიდებდა, ათვინიერებდა თბილისს, არამედ ჩვენც გვაახლოვებდა და გვანათესავებდა, გნებავთ, გვამსგავსებდა ერთმანეთს, სულიერ არსებასავით გარე მისი ზარის წკარუნს და ბორბლის ღრუბლით არა მარტო ახალი დღის დადგომას გვაუწყებდა, არამედ გამოვლილ გზასაც გვახსენებდა განუწყვეტლივ. გამოვლილ გზის დავიწყებდით ერთი ნაბიჯიღარჩება სამშობლოს უარყოფამდე. უვიცი სწავლულზე ბედნიერია, მა-

გრამ ჩვენ თუკი რამე გვჭირდება დღეს, სწავლა-განათლება გვჭირდება პირველ რიგში, ვთქვათ, ფრანგებისგან განსხვავებით. საფრანგეთი ანყობილი ქვეყანაა და შეუძლია ამგვარი "ფუფუნების" უფლდება მისცეს თავს, თუნდაც მარტო იმის გასარკვევად, თუ რამდენად სახიფათო აღმოჩნდება წიგნისადმი დღევანდელი ინტერესობა მომავლისთვის, ანუ, შეიძლება თუ არა ხვალ და ზევ ქვეყნის ბედიც ანდო იმას, ვისაც გუშინ და გუშინწინ ორ ბაჭსაც არ ანდობდნენ მოსამწყემსად. სწავლა განა არ გვიყვარს, სიბეჯითე გვაკლია, გვეზარება. უფრო გულახდილად თუ ვიქნებით, მოგვებზრდა, ყელში მოვივივია "განათლების მიღება" უსწავლელად, რასაც განათლების საბჭოური მეთოდი გვთავაზობდა. სავადმდეულო, მაგრამ იოლმა სწავლამ ამკარად არ გავვიმართლა, თუმცა მაშინაც ასე ვიყავით მოდებული ქვეყანას, თავისთავად ცხადია, შესაძლებლობების ფარგლებში, კვივიდან ნოვოსიბირსკამდე, და უნდა ვაღიაროთ, ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის კარი იღებოდა ჩვენთვისაც, რამდენიმე ჩურჩხელისა და შინაბალი ჭაჭის საფასურად. მაგრამ, საბოლოო ჯამში, სწავლის მძებნელებიც და შინ დარჩენილებიც ერთნაირად უფიცო აღმოვჩნდით ბოლოს და ბევრი სიმწარეც ვიკემეთ საკუთარი უფიცობის გამო. ამიტომაც გვირჩევენ ოცნება სინამდვილეს. ოცნებაში უცებ შევიძლია იმის ასრულება, რასაც სინამდვილეში ხანგრძლივი, თავაულებელი შრომა სჭირდება.

საქართველო რომ საქართველოა, ოცნებაში ისიც კი შეიძლება წარმოიდგინო ამერიკასავით ძლიერ და მდიდარ ქვეყნად. კი ბატონო, ვიოცნებობთ. ოცნებას რა სჯობს! მაგრამ ერთი პირობით: აუცილებლად უნდა გვიყვარდეს ეს "დანყველილი" საქართველო, უნდა გვჯეროდეს მისი და სადაც არ უნდა ვიყოთ, შინ თუ გარეთ, მხოლოდ მის საკეთილდღეოდ უნდა ვივლნოდეთ, უხმაუროდ და უანგაროდ. ასე რომ, "ერის, როგორც მთლიანი ორგანიზმის, სულიერი სიჯანსაღე" რომ დავიბრუნოთ, ხელახლა უნდა მოვინათლოთ ყველანი ქართველები და ხელახლა უნდა შევისწავლოთ ანი და ბანი. მტერმა შეიძლება სკოლა დაგვიგრიოს, ნიგნი დაგვიწვას, სინათლე ჩაგვიქროს... მაგრამ სწავლის უნარსა და სურვილს ვერ ჩავვიკლავ. სწავლა სიბნელება შეიძლება და არა მარტო უცხოეთში, არამედ ადგილზეც, შინ. უცხოეთში, საერთოდ, იმის სასწავლებლად მიდიან, რისი სწავლაც შინ არ შეუძლიათ, მაგრამ სწორედ შინ სჭირდებათ. ქართულს, რასაკვირველია, საქართველოზე უკეთესად ვერსად შეისწავლი, მაგრამ შენ თუ ღარ გინდა ქართველობა, შენ თუ მსოფლიო მოქალაქეობას აპირებ, მაშინ... თუქცა, საბედნიეროდ, არც ერთი მონარდი არ ფიქრობს ასე. ასე ზოგიერთი მათგანის მშობელი ფიქრობს და არა მარტო ფიქრობს, დაუნანებლად მიტებს შვილს უცხო სივრცეებში უკვალოდ გასაქრობად. არავითარ შემთხვევაშიც ეს დიდა დანაშაულია ღმერთისა და ქვე-

ყნის წინაშე და უმაღ ასეთ მშობლებს გაავაზუნის საქართველო "განათლებლად", ვიდრე მათ შვილებს. მათი შვილები საქართველოს საკუთრებაა. მათი შვილებია ხვალინდელი საქართველო, რომელიც, ღვთის წყალობით, ერთხელ კიდევ აღსდგა დღეს მკედრეთით, ისევე სახელმწიფოდ იზოდება და საკუთარი დროშა, ჰიმნი და გერბი საკეთილდღეოდ უნდა ვივლნოდეთ. სხვათა შორის, სახელმწიფო გერბი ჩვენსავით თავგადასავალი გვიყვება პერადღიკის ენაზე. უფრო სწორად, სხვებისთვისაც წარმოაჩენს, თუკი რამე მნიშვნელოვანი და საინტერესო გაგვაჩნია. სამეფო გვირგვინი, ყალბე შემდგარი ლომები მაინც და მინდა გიორგი, რასაკვირველია, ძვირფასი სიმბოლოებია თავისთავად, მაგრამ მათი გამოსახვა ნებისმიერი ქრისტიანული ქვეყნის გერბზე შეიძლება და არის კიდევ გამოსახული; ხოლო ქრისტეს კვალილზეც, შინ. უცხოეთში, საერთოდ, იმის სასწავლებლად მიდიან, რისი სწავლაც შინ არ შეუძლიათ, მაგრამ სწორედ შინ სჭირდებათ. ქართულს, რასაკვირველია, საქართველოზე უკეთესად ვერსად შეისწავლი, მაგრამ შენ თუ ღარ გინდა ქართველობა, შენ თუ მსოფლიო მოქალაქეობას აპირებ, მაშინ... თუქცა, საბედნიეროდ, არც ერთი მონარდი არ ფიქრობს ასე. ასე ზოგიერთი მათგანის მშობელი ფიქრობს და არა მარტო ფიქრობს, დაუნანებლად მიტებს შვილს უცხო სივრცეებში უკვალოდ გასაქრობად. არავითარ შემთხვევაშიც ეს დიდა დანაშაულია ღმერთისა და ქვე-

იღბლის ხალხისთვის ისიც დიდი მიღწევაა (მე ვიტყვოდი, ბედნიერება), რასაც, ჯერჯერობით, მივალნიეთ. ასე რომ, მიუხედავად ყველაფრისა, დღეს ვაცილებით უკეთ ვართ, ვიდრე გუშინ ვიყავით. რადგან დღეს უფრო მეტმა ვიცით, რატომ ვართ ცუდად. იმედა, ხვალ კიდევ უფრო მეტს გვეცილებინებს ეს ხეება "გახიზნულ, გაჩუქებულ, გაყიდულ" შვილებსაც, რომლებსაც ვერაფრით ვეღარ დავიბრუნებთ, თუკი თავად არ მოუხდებთ დაბრუნება. დაბრუნება არა მარტო კეთილშობილური მიზანი, არამედ მათთვის უფრო სწორი უნდა იყოს მათთვის. ოღონდ, შურისსაძიებლად კი არ უნდა დაბრუნდნენ, არამედ გერბში ამოსადგომად და მხარის შესაშველბლად. როგორმე უნდა მოერიონ თავს და გამიზნავ, გამჩუქებულ, გამყვებულ მშობლებს მიუტყვონ, აპატიონ ყოვლად აუგმართლებელი სისუსტე და სიბეჯე, უბრინციობა და უნებისყოფობა. ეს არა მხოლოდ სულიერ შეგება აგრძნობინებთ, არამედ "უსამშობლოდ დაკარგული დროის ანაზღაურებად" ჩაუტყვობთ. დარწმუნებული ვარ, ასევეც მოხდება. როგორც კი განენიშნდებით მონური ყოფის შლამისგან, ყველას, ნასულსაც და დარჩენილსაც, ერთად, ერთდროულად გავვახსენებდა "ვისი გორისანი ვართ" და სულის შემძვრელი სიცხადით დავგვივადებდა თვალწინ ჩვენი საერთო დედის, ჩვენი მარადული, დასუფლული, ამოურუნავი, აუწონავი, გაუზომავი, ფასდაუდებელი, თვალშუადგამი, ხელმუხებელი სამშობლოს უღამაზესი და უძვირფასესი სახე...

## ქართველები ევროპაში

# ნოზელის პრემიის ლაურეატი და ირაკლი ბატონიშვილი

### ანდრე კარბალაშვილი

ქართული ერის ისტორიითა და კულტურით, მისი სულიერი სიმდიდრითა და თავდადებით სამშობლოსადმი ევროპის ბევრი ცნობილი პიროვნება დაინტერესებულა და მრავალი უცხოელი მოისწრაფოდა ქართულ მიწაზე. მათ შორის იყო მწერალი ქალი **ბერტა ფონ ზუტნერი**, 1843-1914.

1876 წლიდან ზუტნერი 9 წლის მანძილზე ცხოვრობდა საქართველოში და ევროპაში დაბრუნების თანავე სათავეში ჩაუდგა პაციფისტურ მოძრაობას. 1889 წელს გამოცვა რომანი "ძირს იარალი", რომელმაც მსოფლიო აღიარება ჰპოვა. 1905 წელს შვეიცარიისთვის მოღვაწეობის გამო ბერტა ფონ ზუტნერს ნობელის პრემია მიენიჭა.

1864 წლის ზაფხულში 21 წლის ბერტა კინსკი (შემდგომ ფონ ზუტნერი) დაუმეგობრდა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახს. გაიცნო ეკატერინეს 17 წლის ნიკო, 16 წლის სალომე და 14 წლის ანდრია. ეს მოხდა მაინის ფრანკფურტის ჩრდილოეთ მდებარე საავარაკო ქალაქ ჰომბურგში. როგორც ბერტა ფონ ზუტნერი მოგონებებში წერდა, ალტაცებული ყოფილა ეკატერინეს პიროვნებით.

ერთხელ ჰომბურგში ეკატერინეს ოჯახში ბერტამ დაახლოებით 40 წელს მიღწეული, საშუალო ტანის, მოხდენილი აღნაგობის მამაკაცი გაიცნო. იგი ეკატერინეს ბიძაშვილი, ერეკლე II-ს შვილიშვილი, ირაკლი ბატონიშვილი იყო. ბერტას მოეწონა ქართველი ვაჟკაცი. მალე მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა.

ბერტამ ეკატერინესაგან შეიტყო ირაკლი ბატონიშვილის ამბავი - რომ ის საქართველოს მეფის უკანასკნელი შთამომავალი იყო, თბილისში ჰქონდა სასახლე, მთებში კი - ძველი სამეფო კოშკი. ირაკლის ხშირად უნდებოდა ევროპაში ყოფნა. დღემდე სტოიდა და ჰომბურგის, კარლსბადის და ვიშის წყლებს სავადა. ეკატერინეს ბერტასთვის ხუმრობით უთქვამს: ირაკლის ურჩენია, თავის სატიკივარს ახალგაზრდა ქალით იმპერნალოს და შენისთანა სანდომიანი პიროვნება შეირთოსო.

ბერტა და ირაკლი სულ უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს - სადილობის დროს, ოპერაში, მეჯლისზე. ირაკლის უთქვამს: თქვენ ყველა ის თვისება გავით, მუახხის მამაკაცებსაც თავგზას რომ აუბნებეს, ამქვეყნად თქვენსავით მომხიბვლელი არსებუ თუ სადმე იყო, არ ვიციოდით. როგორც ბერტა ფონ ზუტნერი შემდგომ იგონებდა, ირაკლი ამ სიტყვების შემდეგ მთელი ღამე არ სძინებია.

ირაკლი პარიზს გაემგზავრა, ბერტა კი მის მოლოდინში ცდილობდა კავკასია და საქართველო წიგნებით გაეცნო. ყურადღებით კითხულობდა დიუმას მოგონებებს საქართველოში მოგზაურობაზე.

ერთ დღეს კი მოულოდნელად შეიტყო ეკატერინესაგან, რომ ირაკლი პარიზიდან პირდაპირ საქარ-

თველოში გაემგზავრა. ვეღარ მოითმინა ბერტამ და ტირილი მორთო: "ო, რა სისასტიკეა"

1866 წელს ბერტა ჰომბურგში ისევ შეხვდა ეკატერინეს ოჯახს და ძალზედ დაუმეგობრდა 18 წლის სალომეს. სწორედ მას გამოუტყდა, რომ ორი წლის წინათ მისი ბიძა-ირაკლი ბატონიშვილი შეუყვარდა.

1867 წელი. პარიზი. ბერტა დადიანების ოჯახში, ლუერის სახლში სტუმრობს ხოლმე. ისევ და ისევ ახსენდება ირაკლი. ეკატერინეს ეკითხება მის ამბავს. ეკატერინეს უქვირს, ნუთუ კიდევ არ დაგვიწყნდა, შეიძლება მალე პარიზში ჩამოვიდესო. მაგრამ, როგორც ბერტა მოგონებებში წერს, ირაკლი პარიზში აღარ ჩასულა. რომ ჩამოსულიყო, ჩემში სიყვარულის ალი ისევ იფეთქებდაო.

1868წელს გაზეთი "დროება" წერდა:

"ახილ (აშლი, ა.კ.) მიურატის ჯვრის წერა სალომე მეგრელისაზე 28 აპრილს არის დანიშნული".

ბერტამ პარიზში დევემა მიიღო სალომესაგან: "გაიზიარეთ ჩემი ბედნიერება. ეს-ეს არის დაინიშნე პრინც აშლი მიურატზე". ამასთანავე, სალომემ ბერტას საქონრინო მზადებაში მონაწილეობაც სთხოვა. რასაკვირველია, ბერტა მაშინვე მივიდა დადიანების ოჯახში.

1868 წელს გაზეთ "დროებაში" ასეთი ინფორმაცია გამოქვეყნდა: "იპერატორ ნაპოლეონის ბიძაშვილის შვილის პრინცის ახილ მურატის და სამეგრელოს განსვენებული მთავრის ასულის სალომე დადიანის ქორწილი იყო მაისის (13) ნაშუადღევის პირველ საათზე. ჯვრის წერა აღსრულდა ტულერის კარის ეკლესიაში ფრანცუზების იმპერატორის და მისი მეუღლის თანდასწრებით".

ბერტას მოგონებით, საფრანგეთის იმპერატორმა ვალდებულება აიკისრა, აშლი მიურატისთვის ყოველწლიურად დედი თანხა მიეცა. ამიღმა თავის საცილოს მარგალიტის ყელსაბაში უძღვდა, ხოლო დედამისმა ბრილიანტის ძვირფასი სამკაული აჩუქა.

აშლი მიურატი და სალომე დადიანი სამოქალაქო ნესით შეუდგნენ სალომეს მერიაში, შემდეგ ჯვარი დაინერეს საფრანგეთის იმპერატორისა და დედოფლის თანდასწრებით ჯერ კათოლიკური, მერე კი მართლმადიდებლური რიტუალის მიხედვით. ბერტა სალომეს მეგვარე ყოფილა და სალომეს თავზე გვირგვინი ეჭირა. სალომეს თავზე ედგა ბრილიანტის დიადემა, რომელიც საფრანგეთის დედოფალს - ევეგნიას უჭექნია. როგორც ბერტა იგონებს, ჯვრისწერის შემდეგ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მათთვის განკუთვნილ პატარა სასახლეში დაბინავებულა. ბერტა მათთან ხშირად დადიოდა. გავიდა წლები.

1876 წლის გაზაფხულზე ვენის ერთ გაზეთში დაიბეჭდა განცხადება: საკმაოდ მდიდარი, განათლებული ხნოვანი ჯანტყმენი, რომელიც პარიზში ცხოვრობს, ინვეს-



ბერტა ფონ ზუტნერი

თავისთან უცხო ენების მცოდნე საშუალო ასაკის ქალს მდივნისა და ეკონომის მოვალეობის შესასრულებლად.

33 წლის მიმზიდველი ავსტრიელი არისტოკრატი ბერტა კინსკი, რომელიც იმ პერიოდში იძულებული იყო თავის შესანახი სახსრები ექებნა და გუვერნანტად მუშაობდა, გამოეხმაურა ვენის გაზეთში დაბეჭდილ განცხადებას. განცხადების ავტორი გულწრფელი აღმოჩნდა - ის მართლაც მდიდარი და განათლებული იყო, რამდენიმე ენას ფლობდა. თუმცა, 43 წლის კაცი, ალბათ, ხნოვანად მაინც არ ჩაითვლებოდა.

და როცა ბერტა კინსკი პარიზში ამ მამაკაცს შეხვდა, მიხვდა, რომ აღფრედ ნობელი უფრო მეტს ექებდა, ვიდრე მდივანს (შესაძლებელია, ცოლსაც). სამწუხაროდ, ბერტას სხვა მოსონნად და ეს პირდაპირ აღიარა, როცა შეეშა ჰკითხვა, თავისუფლია თუ არა მისი გული.

ერთი კვირა იმუშავა ბერტამ ამ მამაკაცთან და ვენაში დაბრუნდა, მაგრამ მთელი ცხოვრება ვერ დაიბნევა ნიბელი - მისი ჭკუა, თავიდავლობა, ხასიათის მოულოდნელი

ცვლილებები.

სახელგანთქმული შვედი ინჟინერი ალფრედ ნობელი არ ჰგავდა არც ერთ მის ნაცნობს. ნობელს ცოლი არ შეურთავს, ის და ბერტა ბოლომდე მეგობრები დარჩნენ.

1876 წელს ახლად დაქორწინებული ბერტა თავის მეუღლესთან გუნდაკარ ფონ ზუტნერთან ერთად, გამოეხმაურა ვენის გაზეთში დაბეჭდილ განცხადებას. განცხადების მიწვევით საქართველოში ჩამოვიდა და აქ 1885 წლამდე დარჩა.

თავის მოგონებებში, რომლებიც ზუტნერმა 1909 წელს, ხოლო შემდეგ 1969 წელს გამოიცა გერმანულ ენაზე, ზუტნერი იხსენებს თბილისში გატარებულ დღეებს, უამბობს მკითვლეებს ქალაქის თავისუფლებზე და აღნიშნავს, რომ თბილისის ევროპული ნაწილის ცხოვრება ძალზე წაავაგს ევროპის ქალაქების ცხოვრებას.

ზუტნერმა თავისი პირველი მხატვრული ნაწარმოები "მარაო და წინსაფარი" ქუთაისში დაწერა და შემდეგ ზუგდიდში შექმნა რომანები "ცუდი ადამიანი", "ჰანა" და "სულის ინვეტირობი".

ზუტნერები ერთხანს თბილისში ცხოვრობდნენ. ქმარი შვალერის ცვლილებები.

ფრანგ მწარმოებლებთან მოანგარიშედ და მხატვრად მუშაობდა. ბერტა თბილისშიც განაგრძობდა ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ბერტა ფონ ზუტნერი 1885 წელს გაემგზავრა საქართველოდ. ამ გემგზავრების წინ მას ვახშამი გაუმართა ქართულმა საზოგადოებამ, რომელთა შორის იყო ნიკო ნიკოლაძე. თავის მოგონებებში ბერტა წერდა, რომ ამ ქვეყანაში ქონება და სიმდიდრე არ შეუქმნია, სამაგიეროდ გახდა მწერალი.

ბერტას საქართველოში ყოფნისას, 1882 წელს, თბილისში გარდაიცვალა ირაკლი ბატონიშვილი.

"დღეს, 27 აპრილს, 12 საათზედ დილით, დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში მიიკვალა თავის სასახლეში უბრწყინვალესი ირაკლი ბატონიშვილი, ძე საქართველოს ტახტის მემკვიდრის ალექსანდრესი", - იუწყებოდა გაზეთი "დროება" (№86).

როგორც გაზეთი წერდა, ირაკლი ბატონიშვილმა რუსეთში დამთავრა სამხედრო სასწავლებელი, ერთხანს სამხედრო სამსახურში იყო. 1862-1864 წლებში თბილისში სათავეში ედგა წერა-კითხვის კომიტეტს, რომელიც ორ სკოლას მფარველობდა, ერთს - მთაწმინდაზე და მეორეს - ავლაბარში. ამ ორივე ქართულ სკოლას თბილისელები ერეკლეს სკოლას უწოდებდნენ. სკოლების ხარჯი ყოველწლიურად 170 თუმანს შეადგენდა. 75 "შვიდრდს" სწავლის ფულს არ ახდევინებდნენ, სასწავლო ნივთები და წიგნები მათ უფასოდ ეძლეოდათ.

"დროება" ასე აღწერდა ბატონიშვილს: "ერეკლე იყო შუათანა ტანისა, მხრებში ნახრილი როგორც ჰაპის მეფეს ერეკლეს სურათს ვხედავთ. სახითაც მას ამსვავებდნენ, ვისაც ნეტარხსენებული მანა ეწავნა. ტიპი - წმინდა პაატატორინი (მეფის შტო), ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ნაართვა მის სახეს სისრულე. შავი თვალ-ნარბი, სწორი ცოტა მოზრდილი, მაგრამ ზომიერი ცხვირი, გონიერული სახის გამომეტყველება, საკმაოდ მაღალი და ზრუნვის ჰქვითი აღბეჭდილი შუბლი - კაცის გულს ეხიფავდა. ყმანული კაცობაში დიდს ღონიერს ამბობენ, როგორც ბატონიშვილი შთამომავალი მოსდებო, ვერცხლის მანეთს ხეულში მოჰქეცავდა და რკინის ჯოხს ჰჭრებდაო, უყვარდა ქართული კაბით სიარული".

ბატონიშვილი ერეკლე გარდაიცვალა 63 წლისა, დარჩა ორი პატარა ქალი და მამობითი სქესი ალექსანდრე ბატონიშვილისა მოიპოა.

დიდაში ხალხი დაესწრო ირაკლი ბატონიშვილის გამოსვენებას სასახლიდან. "დროება" (№20). "ახალგაზრდა ქვირთის უბრწყინვალესი კვირის თამარის ნახვა და მისი ორი მცირეწლოვანი ქალისა, რომელნიც მძიმე შავებში იყვნენ და გულხელდაკრეფილი მიჰყვებოდნენ კუბოს, უღუმოსკლავ სურათს წარმოადგენს".

1886 წელი. პარიზი.

ბერტა აქ ხვდება ირაკლი ბატონიშვილის ქვრივს და მის პატარა გოგონას. შემდეგ თამარი და მისი ქალიშვილები ევენციაში დაბინავდნენ, 1889 წელს ბერტამ აქაც მოინახულა ისინი.

1889 წელი. ჰაავა. აქ სამშვიდობო კონფერენციაზე ბერტა შეხვდა მირზა რიზა ხანს - სპარსეთის ღმრს პეტერბურგში. ელჩი აღზრდილი ყოფილა კონსტანტინოპოლში და თბილისში. ლაპარაკი ირაკლი ბატონიშვილის ქვირეზე ჩამოვარდნილა. ელჩს უთქვამს ბერტასათვის, თამარი ახლა ბორჯომშიაო.

1902 წელი.პარმანს დორფი (ვენის მახლობლად). ზუტნერის მამულში ჩასულა თამარი თავისი ორი ასულით და ორი დღე დარჩენილა. ბერტა და მისი სტუმრები სულ საქართველოში გატარებულ დღეებზე საუბრობდნენ.

ბერტა უტყუარი აღლოით შეიგრძნო სილამაზე და ხიბლი ირაკლისა და ბოლომდე უერთგულე მას.

ბერად ფონ ზუტნერი 1914 წელს გარდაიცვალა. ამ სამწუხარო მოვლენას გამოეხმაურა გაზეთი "სახალხო ფურცელი" (22.06.194).

"ეს პატივცემული მანდილოსანი გერმანელი მწერალი გახლავთ. უმთავრესი იდეა, რასაც მისი მაღლიანი კალამი ემსახურებოდა, შვეიცარიისთვის გამოსარჩლებად და საყოველთაოდ შეიარაღების მოსპობა იყო. მისმა რომანმა "ძირს იარალი" მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. ამ რომანში იგი ფიცხლავ აღაშქრებს ომიანობის წინააღმდეგ. შვეიცარიისთვის ქადაგებისათვის მას ნობელის პრემია მიუსაჯეს. იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო სამშვიდობო კავშირში. განსვენებული მოღვაწე ქალი საქართველოშიც ცხოვრობდა და საკმაოდ გაეცნო ჩვენს ცხოვრებას".

გაზეთმა "სახალხო ფურცელმა" თავის სურათთან დაამატებამი (№19) დაბეჭდა ბერტა ფონ ზუტნერის ფოტოსურათი წარწერით: "შვეიცარიისთვის მოსარჩლე ბერტა ფონ ზუტნერი (გარდაცვალების გამო)".

თბილისში, დამიბრე უზნადის ქუჩის №54 სახლზე გათვებული მემორიალური დფა იუნყება, რომ ამ სახლში 1882-1884 წლებში ცხოვრობდა ბერტა ფონ ზუტნერი.

**P.S.** თუ მცხეთაში სვეტიცხოველში მოხვდებით, მოინახულეთ იქ დასაფლავებული გიორგი II-ის და მისი შვილიშვილის ირაკლი ბატონიშვილის საფლავი. და გაიხსენეთ ნობელის პრემიის ლაურეატი ბერტა ფონ ზუტნერი.

ფოტობალარა



სოფელი დიკლო.

ავტორი: გოგიტა ბუხაიძე

TV პროგრამა

22 დეკემბერი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელე-ლიპუცები" 10.00 სერიალი "ეკლები და ვარდები" 11.00 ღამის შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.35 კურიერი 12.20 სერიალი "შეყვარებული ქალები" 13.30 მხ. ფილმი "კაცი, რომელმაც ღეროს უჩივლა" (გ) 15.25 სერიალი "ბევრლი პილზი" 16.30 სერიალი "ეკლები და ვარდები" 17.25 "ტელელიპუცები" 18.20 "ადამიანი ობობა" 18.55 სერიალი "ბევრლი პილზი" 19.45 პატრული 19.55 სერიალი "შეყვარებული

ქალები" 22.00 ხალხის პირისპირ 23.00 დოკ. ფილმი "ჩრდ. კორეა საიდუმლო ქვეყანა" (ბი-ბი-სი) 00.00 მხ. ფილმი "ვენეციური კაპრიზი" (18) (ემილი კროფორდი) 01.55 პატრული

პირველი არხი

შესაძლებელია ცვლილებები 08.00 "ადრე" 10.00 დოკ. ფილმი "პარალელური სამყაროები" 11.00 სერიალი "შემკვიდრე ლუნა" 12.00 "შთავარი" - საინფ. პროგრამა 12.20 ანიმაციური ფილმები "კლოფორდი" 13.00 "სარჩევი" 14.00 სერიალი "მაქსიმო ჩემს გულში" მე-3ს. 15.00 "შთავარი" 15.30 მხ. ფილმი "სუპერ ჯაშუში" 17.30 "ვაკანსია"

18.00 "შთავარი" 18.30 სერიალი "განთქმული ჯეტ ჯექსონი" 19.00 "პოლმარკი" ნარ-მოტივებით - "დევიდ კოპერფილდი" მე-2 ს. 20.00 "შთავარი" 20.45 "ბაბილია" 21.00 სერიალი "შემკვიდრე ლუნა" მე-3 ს. 22.00 დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეების ისტორია" 23.00 "ახალი პროექტი" - "ქუჩებში გაბნეული ბოქსი" 23.30 მხ. ფილმი "ოცნება არგენტინაზე" (გ) 01.15 საინფ. გამოშვება

მე-2

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეფურნალი "პოლივუდი დღეს" 09.30 "გეპატელები ბარტ ვულფი" 10.00 სერიალი "სინიორ ვიანელი" 10.30 სერიალი "ვუპი" 11.00, 13.00,

14.00, 16.00 საინფ. გამოშვება "მზეზე" 11.10 სერიალი "ჩენტი ვეტრინე" 12.05 კრიმინ. დრამა "სიმ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" 13.05 სერიალი "პოლიციელი ქალები" 14.15 არგენტინის ზღვარზე 15.10 შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" 16.05 სერიალი "ველური მთვარი" 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზეზე" 17.20 სერიალი "პოლიციელი ქალები" 18.20 "გეპატელები ბარტ ვულფი" 18.50 "ჯეოსტარი" 19.00 სერიალი "ჩენტი ვეტრინე" 20.45 სერიალი "სინიორ ვიანელი" 21.15 სერიალი "ვუპი" 21.45 კრიმინ. დრამა "სიმ: დანაშაულის ზღვარზე" 23.45 მხ. ფილმი "მონტი საომარი მოქმედების ზონაში" (12) (კრისტოფერ ლუკინი)

მე-3

19.00 საბ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" 19.25 სერიალი "ცხელი ზაფხული" 20.15 დოკ. ფილმი "კორტე მალტეზის 13 ცხოვრება" 21.05 "იმდერ რამე" 21.35 "ქიე ქალი" 21.55 ბასტი-ბუბუ 22.05 ქიემეორნი 22.45 მხ. ფილმი "ერთი ბედის ანოტაცია" (გ)

იმედი

07.00 სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" 07.30 დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 08.05 "იმედის" დილა 09.20 "დუბლიორი" 10.05 სერიალი "მოჯადოება" 11.15 სერიალი "27

დრაკონი" 12.20, 17.10, 03.45 იმედის მელოდები 12.40, 16.25, 03.15 ტე-მარკეტი 13.15 მხ. ფილმი "ნემსიულოპია" (გ) 14.30 სპ. პროგრამა "ასი" 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.50, 03.05 ქრონიკა 15.20 სერიალი "ოცნების სანაპირო" 16.40 დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" 17.20 არტ-ბულვარი 18.05 სერიალი "მოჯადოება" 19.55 სერიალი "ოცნების სანაპირო" 20.55 სერიალი "27 დრაკონი" 22.50 სერიალი "კესი დიდ ქალაქში" 23.15 უცნობი საქართველო 23.45 მხ. ფილმი "ფაფანა" (გ) (ს. მაკკუინი) 02.10 სერიალი "ნემ ბრიჯესი"

აჭარა

09.00 საინფ. დაჯგუფება 09.20 სათავგადასავლო ფილმი "განძი" 10.50 დოკ. ფილმი 11.30, 14.30, 17.30, 20.30 საინფ. გამოშვება 11.45 კომედი "ნაციონალური ნაღობის თავისებურებანი" 13.00 თრილერი "მეხიკო სიტი" 14.45 მხ. ფილმი "ამერიკელები" 16.20 მულტ-ფილმი 17.45 დოკ. ფილმი 18.00 სტუდია "კა-მერტონი" 18.30 საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" 18.50 ისტორიული ფილმი "საიდუმლო გასასვლელი" 21.00 მხ. ფილმი "სხვა" 23.00 "ზღვარი" 23.30 საინფ. დაჯგუფება 23.50 თრილერი "პაროლი თეზი-მანგილი"

OPT

06.00 "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00 Новости. 09.20 Худ. фильм "БЛАГОСЛОВИТЕ ЖЕНЩИНУ". 2-я с. 10.30 Сериал "КЛОН". 11.30 Док. детектив. "Помогите украсть истребитель". Дело 2004 г. 12.20 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.30 Дисней-клуб: "Лило и Стич". 13.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 15.20 "Угадай мелодию" 15.50 Детектив "УБИЙСТВО НА МОНАСТЫРСКИХ ПРУДАХ". 2-я с. 17.00 "Пять вечеров". Среда. 18.10 Сериал "КЛОН". 19.00 Сериал "КЛОН". 20.00 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30 Время. 21.30 Худ. фильм "БЛАГОСЛОВИТЕ ЖЕНЩИНУ". 3-я с. 22.40 Сериал "Дийий Мир. Борьба за выживание". 04.50 Сериал "Таинственный континент".

НТВ

06.00 "Сегодня утром". 09.05 Сериал "МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00 "Сегодня" 10.15 Особо опасен! 10.50 "Женский взгляд" 11.20 "Растительная жизнь". 11.55 Сериал "ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 13.30 Сериал "ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.25 Сериал "РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 15.35 Чрезвычайное происшествие. 16.20 Ток-шоу "Принцип домино". 17.30 Криминальная Россия. 18.35 Чрезвычайное происшествие. 19.40 Сериал "ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ". 20.50 Сериал "РОДСТВЕННЫЙ ОБМЕН". 22.00 "Страна и мир". Главные события дня. 22.40 Сериал "БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВОИ...". 23.50 Чрезвычайное происшествие. 00.15 Кыюба Гудинг-მლ. в боевике "ФАКТОР ХОЛОДА" 02.25 Бильярд. 03.05 Сериал "Дийий Мир. Борьба за выживание: опасная профессия". 04.10 Сериал "ОДИССЕЯ-5". 05.00 Сериал "10-8".

სასწორი

A crossword puzzle grid with numbered squares and images of people. The grid is 36 squares wide and 15 squares high. Images include a man's face (top left), a woman's face (bottom left), and a woman running (center). Numbers 1 through 36 are placed in the starting squares of the words. Arrows indicate the direction of the words.

1. მსახიობის პირადი აგენტები; 2. ლითონის საგნების მოსაპირკეთებელი მინისებრი მასა; 3. იტალიელი წყალში მტომელი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 4. ვაშლის ჯიშო; 5. ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი; 6. პლანეტა; 7. მადრიდის "რეალის" ბრაზილიელი ფორვარდი; 8. სიათონების, კნაიფების გამოშვებელი გამოშვებელი; 9. თეატრისა და კინოს ინგლისელი მსახიობი ქალი; 10. სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 11. 1994 წლის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი; 12. რისამე გამოშვებული, ნაწარმი 1954-70 წლებში; 22. უძველესი ქალაქი მცირე აზიაში; 23. მეცნიერება ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების შესახებ; 24. კლდის თხა; 25. ზოგიერთი მუსიკალური საკრავის ფეხის ბერძენი; 26. მედიცინის განხილვა; 27. რუსი თეატრგარდელი ადმირალი; 28. გემის მტურში ალენის ხერხი; 29. თუთიყუშის სახეობა; 30. ზუთის ლორად გამოყვანილი გვერდი; 31. ბოლიარდის ნაირსახეობა; 32. სახელმწიფო ცენტრალურ აფერიკაში; 33. რენანხანავა გეომეტრიული სხეული; 34. ვენეციის რესპუბლიკის მმართველი მე-17-18 საუკუნეებში; 35. ქართული "წვიმის" მომღერალი; 36. მე-19 საუკუნის ფრანგი მწერალი.

# მომიტინგებზე დროებით გაიმარჯვეს


ბერლინში თეატრ Repertory-ის ადმინისტრაციამ რეპერტუარიდან დროებით ამოიღო პროვოკაციული დადგმა, რომელმაც სიხების დიასპორის მასობრივი პროტესტი გამოიწვია. თეატრის ხელმძღვანელობა უარყოფს ცენზურას და ამტკიცებს, რომ ასეთი გადაწყვეტილება უსაფრთხოების მიზნით მიიღეს. თეატრალური უკმაყოფილებას ვერ მალავენ, რომ "მომიტინგების დასაწყისში ისინი თავისუფალი სიტყვის შეზღუდვამდე მიყვანა".

სპექტაკლის შეჩერება პოლიციელთა და სიხების ლიდერთა შეხვედრის შემდეგ გადამწყდა. "თეატრი იტოვებს უფლებას, დადგას ნებისმიერი პიესა, რომელიც კულტურულად მრავალფეროვანი საზოგადოების თანამედროვე პრობლემებს შეეხება", - განაცხადა პრესკონფერენციაზე Repertory-ის დირექტორმა სტიუარტ როჯერსმა და იმედი დაიტოვა, რომ მის თეატრში პიესა "პატივცემულობა" უახლოეს მომავალში გათამაშდება. "ვნუხვართ, რომ შესაძლებე-

ლია ძალადობის შიშით ღირსეული მხატვრული ნაწარმოების შეზღუდვა", - აღნიშნა როჯერსმა. როგორც თეატრის ნარმოადგენლები აცხადებენ, შაბათის დემონსტრაციისას დაზიანდა შენობაც. დემონსტრანტებმა, რომლებიც კულისებში შეკვიდრნენ, განადგურეს სცენის მოწყობილება. როგორც ცნობილია, არიან დაშვებულიებიც. "სამწუხაროა, როდესაც ნებისმიერი ნიგნი თუ პიესა უფლებების შელახვის პროვოცირებას ახ-

ენს. თუმცა, სიტყვის თავისუფლების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დაეუფათ, რომ ესა თუ ის დადგმა მიტინგების გამო შეჩერდეს. ქვეყანაში შექმნილია კლიმატი, ნებისმიერი რელიგია დარწმუნებული იყოს, რომ მისი რწმენა, ლიდერები, სიმბოლო და სინიშნულებები არავის დაცინვის, კრიტიკისა და პაროდის თემა არ გახდება", - ამგვარად გამოეხმაურა მომხდარს ერთ-ერთი პარლამენტარი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიიდან.

## გლობალური დათბობის შედეგი - ყველაზე ცხელი დეკადა



**"თავის არტის" ნარმოდიგანთ**

22 დეკემბერს, 7 საათზე, თბილისის კონსერვატორიის დიდი დარბაზში

**"ჯაზის სამყაროში"**

I განყოფილება: რიჩი ბაირაქი (ფორტეპიანო, აპში), გრეგორ ჰიუბენერი (ვიოლინო, გერმანია), ფაიტ ჰიუბენერი (კონტრაბასი, გერმანია)

II განყოფილება: ჯგუფი "შინ" ზაზა მიმინოშვილი (აკუსტიკური გიტარა), ზურაბ გაგინიძე (ელექტრობასი, ვოკალი), მამუკა ლალანიძე (პერკუსია, ვოკალი), რეი კაჩინსკი (პერკუსია, დასარტყამი ინსტრუმენტი, აპში)

ბილეთები იყიდება კონსერვატორიის სალაროში. ტელ. 934624

**3333333**

ქოლგეთი-პალმლოვი ნარმოადგენს პირველადი მოხმარების ჰიგიენური პროდუქტის მწარმოებელ ერთ-ერთ უდიდეს კომპანიას, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში ნარმატებით მოღვაწეობს და რომლის ყოველწლიური ბრუნვაც 10 მილიარდ დოლარს აღწევს.

ქოლგეთი-პალმლოვის მეტად ამბიციური მიზნები გააჩნია საქართველოშიც და საამისოდ მისი დისტრიბუტორი კომპანია შპს "პონტო სტარ კომპანი" ინვესტ 25 წლამდე ახალგაზრდებს საფარო ნარმოადგენლის (დისტრიბუტორის) თანამდებობაზე საშუალოდ.

**მოთხოვნები**

1. უმაღლესი განათლება
2. კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი
3. ავტომატის მართვის მოწმობა (სასურველია)

**მოვალეობები**

1. გაყიდვები
2. დისტრიბუცია
3. თაროზე მუშაობა
4. სარეკლამო საშუალებების გამოყენება

დინტერესებულმა პირებმა 2005 წ. 10 იანვრამდე გამოავაზნეთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) ფაქსის შემდეგ ნომერზე: 91 13 41 1000-დან 1800 -მდე

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

**კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:**

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისება მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება - MS Word.
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები - MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: **გ.უზნაძის N70** ტელ: 29-48-61

უებ-გვერდი: **WWW.mziuri.ge**

**თქვენი რეკლამა ავანს გაზაფხულში**

20-24-04  
20-00-24

**ნაშალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება**

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტაიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდის დროს წვა, შარდსადავნი ზერელის ბაგეთა მინება, სუნი ან გამოზანდენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნაშალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესხნება.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღლის ბუშტის (ქოლციკსტიტი), პეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, პრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნაშალი "სალხინო" კურნავს სარტყვე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნაშალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწმობულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ნაშლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

**ყველაზე ჭკვიანი**

შენ 11 ან 12 წლის ხარ და გაქვს სურვილი, მოწინააღმდეგე მიიღო ტალღაგმავანი რუსთაველი-2-ის გადაცემაში ყველაზე ჭკვიანი? მაშინ აუცილებლად უნდა შეიძინო გაზაფხული "12-მდე", რადგან გხოლოდ აქვენი გაზაფხული იზაქმება ამ გადაცემის მოწინააღმდეგე ანკატა!

გარდა ამისა, 12 წლამდე ასაკის ყველა ბავშვის გაზაფხული "12-მდე" აქლავს განსს, მოწინააღმდეგე მიიღოს კარჩხის დისნაი ლანდის ორი საგზაურისათვის გამოცხადებულ კონკურსში, გაიმარჯვოს და ზამთრის არდადეგები დისნაის საყაროში გაატაროს.

მაშ ასე, შეიძინე გაზაფხული "12-მდე" და ხდება ზღაპრული კონკურსისა და ტალღაგმავლის მოწინააღმდეგე!

**DISNEYLAND PARIS**